სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 6 ივლისი 2006 №153 (2775) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინდელი აშკარად მოსაწყენი და ცოტა საწყენიც გუშინწინდელი დიდი თამაშის მერე

ფინალი
9 ივლისი
ბერლინი. 22.00
იტალია – საფრანგეთი

მესამე ადგილი
8 ივლისი
შტუტგარტი. 23.00
გერმანია – პორტუგალია



მაგრამ სექტემბრიდან ქართველებს მოსაწყენად არ გვეცლება: მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპა-ჩემპიონი და მეოთხედფინალისტი ევროშესარჩევში ჩვენი ჯგუფელები არიან

რაიმონ დომენეკის საფრანგეთმა წაუგებელი სკოლარის დაგეშილი მახრჩობელა პორტუგალია პენალტით ჩამოიხლიტა

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ნახევარფინალი

AFP მიუნხენიდან



ფრანგებმა ბრაზილიური სერიალი გათიშეს

ჯგუფის სამ მატჩში ზინედინ ზიდანს და ტიერი ანრის, მაგალითად, ნაელსონ ზინიასგან და ომარ ბრავოსგან ვერ განასხვავებდა კაცი, მაგრამ დაიწყო გადამწყვეტი ეტაპები და ორი დიდი ფრანგი ქარიშხალს დაემსგავსა. თანამედროვეობის და საერთოდ, ბოლო წლების უდიდესი დირიჟორი და უდიდესი თავდამსხმელი — ზიდანი და ანრი თამაშს ხატავენ და მართალია, კრიშტიანუ რონალდუს ნატიფი მოძრაობებიც მოგხიბლავს, მაგრამ ზიზუ და ანრი დიდები არიან, ხუჭუჭთმიანი პორტუგალიელი კი მათთან შედარებით ბარტყია.

დიდი, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, ჰყავდათ პორტუგალიელებსაც, მაგრამ ის მობერდა, ვეღარაა ისეთი სწრაფი და გოროზი, როგორც საუკეთესო წლებში. დიახ, ეს გასხვავებაა ფიგუსა და ზიდანს შორის. 9 ივლისს ზიზუ დიდ ფეხბურთს ეთხოვება, ეს სიმბოლურია, მარტო ამის გულისთვის ღირდა საფრანგეთის ფინალში ნახვა!

თითქოს არაფერი... 33-ე წუთია, თითქმის თანაბარი თამაში, სკოლარის გუნდი უფრო მწარედ იკბინება და ბურთიც უჭირავს. და ამ დროს ანრიმ მონახა ღრიჭო, მას რომ უყვარს, იმ კუთხიდან დარტყმისთვის გაემზადა და რიკარდუ კარვალიუს საბედისწერო სარმამაც არ დაახანა: პორტუგალიის მეკარე რიკარდუმ პენალტისას კუთხე ვერ გამოიცნოს, გაგიგონიათ? გამოიცნო, მაგრამ ვაი, რომ ზიზუმ დაურტყა — 1:0.

ორი წუთიც არ იყო გასული, ფიგუს ფლანგურ ჩაწოდებულზე ვილი სანიოლი ხელით გაეცაცუნა პედრუ პაულეტას, სკოლარი და პორტუგალიის სათადარიგოთა სკამი მსაჯის სასტვენის დუმილმა ჭკუიდან შეშალა, მაგრამ პენალტი ძვირი რამაა — უნდა გერგებოდეს...

შესარგებად კი დრო ბლომად იყო, მთელი მეორე ტაიმი. დალოცვილო, ბოლო წამებს რომ უცდი და მეკარიანად მეტოქის საჯარიმოში სახლდები, სასწორზე ფინალში გასვლა დევს და აქამდე თუ მოსულხარ, მიდი და ჯიგარი ჩაატანე თამაშს.

არა, რატომღაც პორტუგალიელთა მონაწილეობით ორი ფინალი გამახსენდა და სწრაფადვე პარალელები გავავლე: ორივე მშობლიურ გარემოში იყო, 2004-ში საბერძნეთთან წააგეს ევროჩემპიონატის ფინალი, შარშან კი ლისაბონის „სპორტინგმა“ მოსკოვის ცეესკასთან დათმო უეფას თასი, საერთო კი ის იყო, რომ მაშინაც და გუშინაც პორტუგალიელები უფხონი იყვნენ, ძალიან მალე გატყდნენ — სხვა ახსნის მოძებნა ძნელია, მენტალიტეტის ამბავი უნდა იყოს...

კრიშტიანუ რონალდუს საჯარიმოს ფაბიენ ბარტეზი უხერხულად იგერიებს და ფიგუ თავით აცილებს კარს. ბოლო წუთებზე კი ფერნანდუ მეირა ხელსაყრელი პოზიციიდან, ბოდიშით და, ქაჯურად ურტყამს — აი, ორადორი გაელვება, რაც პორტუგალიამ შეჰკადრა საფრანგეთს; არ დაგვავიწყდეს, ლაპარაკია მუნდიალის ნახევარფინალისტზე, რომელიც მინიმალური სხვაობით აგებს და ძალა-ენერგიას უნდა ანთხევდეს მინდორზე.

არ ვიცით, რომელი ილუზიონისტი ფრანგებს ჰყავდათ, რომ შესვენების შემდეგ საერთოდ გაქრა დეკუ, მხოლოდ ორჯერ მოკკრით თვალი და მაშინაც კუთხურს აწოდებდა. საერთოდ კი, პორტუგალიის ცეცხლი მაშინ ჩაქრა, როცა მუნდიალის ალბათ საუკეთესო მარჯვენა მცველმა მიგელმა ერიკ აბიდალთან უნებური შეჯახებისას ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა.

სამფეროვნებს არ დაუწყიათ ველოსიპედის გამოგონება, ცენტრი დაუთმეს მეტოქეს, რაიმონ დომენეკმაც მისხალ-მისხალ იგივე შეცვლები გააკეთა, რაც ბრაზილიასთან და მთლიანობაში, რაღაც უგემურად ჩაიარა ამ ნახევარფინალმა — საფრანგეთს არ უჩვენებია ისეთი სპექტაკლი, როგორიც წინა დღეს იტალიამ დადგა, თუმცა რა რჯიდა რო?!

1984, 2000 და 2006 — ფრანგებმა მესამედ მოუგეს ნახევარფინალი პორტუგალიელებს, რომლებიც ამ მუნდიალზე პირველად გუშინ აღმოჩნდნენ მდევრის როლში და ვერ მიხვდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ. ან იქნებ მიხვდნენ, მაგრამ საფრანგეთი იყო ის ძალა, აღმართ-აღმართ რომ ხნავს...

„ჩვენ ყველაფერი ვცადეთ ამ მატჩში, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. რამდენიმე მომენტი გვქონდა, თუმცა მთლიანობაში, საფრანგეთმა დაიმსახურა მოგება“ — მაინც მაგარი კაცია სკოლარი, მუნდიალებზე !! გამარჯვებისა და ერთი ფრის შემდეგ წაგებასაც შეხედა თვალებში. აღიარა კიდეც, ფინალი არ გვეკუთვნოდაო.

მსახიობური გამომეტყველების რაიმონ დომენეკმაც მოკლედ თქვა, მთავარია, ფინალში გავედით და იქ ყველაფერი უნდა გავიღოთ, რათა თავჩაქინდრულები არ დავრჩეთო.

„პენალტი გავიტანეთ და შემდეგ შესანიშნავად ვითამაშეთ დაცვაში. სწორედ ამის ხარჯზე გავედით ფინალში. ლომებივით ვიდექით. პორტუგალიას დიდად სახიფათო მომენტები არ შევაქმნევინეთ და ყველამ დაინახა, რომ საფრანგეთს აქვს ტექნიკა, ჟინი და, საერთოდ, ყველა საჭირო თვისება“ — ეს კი ანრის სიტყვებია, რომელიც ალბათ ვერ გახდება მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი, მაგრამ ბოლო მატჩებში ის ისევ არსენალური ანრია.

იტალია მეოთხედ თუ საფრანგეთი მეორედ? არ ვიცი, თქვენ თუ გაიხსენებთ ბოლო წლებში ისეთ ფინალს, რომელსაც ფავორიტი და აუტსაიდერი არ ჰყავს.

ჩვენ ვერ ვიხსენებთ...

ილია ნანოგაშვილი

პორტუგალია 0:1 საფრანგეთი

№62. 5 ივლისი. 23.00. მიუნხენი. „ალიანს არენა“. 66 000 მაყურებელი

0:1 ზიდანი (33პ)

1 რიკარდუ

მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი

13 მიგელი — 5 ფ. მეირა — 16 რ. კარვალიუ — 14 ნუნუ ვალენტე

6 კოშტინია — 18 მანიშე

20 დეკუ — 7 ფიგუ — 17 კ. რონალდუ

9 პაულეტა

12 ანრი

7 მალუდა — 10 ზიდანი — 22 რიბერი

6 მაკელელე — 4 ვიეირა

3 აბიდალი — 5 გალასი — 15 ტურამი — 19 სანიოლი

მწვრთნელი რაიმონ დომენეკი

16 ბარტეზი

შეცვლა: მიგელი – 2. ჰ. ფერეირა (62), პაულეტა – 11. სიმაო (68), მალუდა – 11. ვილტორდი (69), რიბერი – 9. გოვუ (72), ჯოშტინია – 23. ჰოშტიგა (75), ანრი – 14. საა (85)

გაფრთხილება: კარვალიუ (83), საა (87)

მსაჯები: ხორხე ლარიონდა; ვალტერ რიალი, პაბლო ფანდინიო (ურუგვაი)

18	ჯარიმა	11
8	კუთხური	3
12	ჯარისკენ დარტყმა	5
5	ჯარში დარტყმა	4
4	თამაშგარე	0
59	ბურთის ფლობა პროცენტულად	41

ბომბარდირები

მიროსლავ კლოზე (გერმანია)	5
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3
ტიერი ანრი (საფრანგეთი)	3

ბერძნული ფეხბურთი პატარა ბავშვია: ყველა გალახვით ემუქრება

ბლატერის სანქციამ ბერძნები დაზაფრა

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვასილის გაგაცისი იმედოვნებს, რომ თუ მისი ქვეყნის ხელისუფლება დროულ და სწორ ნაბიჯებს გადადგამს, ფიფა დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში გააუქმებს იმ მძიმე სანქციებს, რომელიც სრულიად ბერძნულ ფეხბურთს დააკისრა ორი დღის წინ. გაგაცისის თქმით, ზემოთ ხსენებული სანქცია ამ ორ დღეშიც კი დაეტყო ვითარებას — სხვადასხვა საერთაშორისო საფეხბურთო სტრუქტურებიდან უკვე რამდენიმე ბერძენი მუშაკი დაითხოვეს.

შეგახსენებთ, რომ ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა სამშაბათს, საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თავის დროზე საბერძნეთის გარდა, მან „ყვითელი ბარათი“ პორტუგალიასა და პოლონეთსაც ამოუღო, მაგრამ ამ ორ ქვეყანას აღმოაჩნდა კეთილი ნება, ეს გაფრთხილება „წითელ ბარათში“ არ გადაეზარდა.

ამასობაში კი საბერძნეთის სპორტის მინისტრმა გეორგ ორფანოსმა ფედერაციას შეუტია. იგი თავისი ქვეყნის მთავარ საფეხბურთო სტრუქტურას სახელმწიფო დახმარების ჩამოშორებით დაემუქრა და ბრალი ათას ცოდვაში, მათ შორის, არჩევნებისას ხმის მიცემის არადემოკრატიულ სისტემასა და ნებისმიერი საქმის წარმოებისას ბუნდოვანებაში დასდო. გარდა ამისა, ორფანოსმა განაცხადა, რომ ფიფას საქციელმა გააკვირვა და მალე პირადად შეხვდება პრეზიდენტ ბლატერს.

პაპუნა კედია

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე **25** თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში **12** თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

და ღამ-ღამის აბონენტებისთვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში
სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთანხმება ჯეოსელის

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

www.geocell.ge

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ერთი გვერდიღა იტალიის ოცნების წიგნში

ჩექმა აჭრაჭუნდა: გამოუშვით უცხოპლანეტელები



„სკუადრა აძურას“ დორტმუნდულ სპექტაკლს, ცხადია, დიდი გმოხმაურება მოჰყვა. იტალია — გერმანიის ნახევარფინალი ამ მუნდიალის ჯერჯერობით (დაველოდოთ ფინალს) საუკეთესო შეხვედრა გამოდგა. ამ შეხვედრაში, ფაქტობრივად, იყო ყველფერი, რითაც გულშემატკივარს შეუძლია, ისიამოვნოს და ეს, პირველ რიგში, აპენინელთა დამსახურებაა.

იტალიის ნაკრების ყველა წევრმა მართლაც ჩინებულად ითამაშა. ამის შემოქმედი კი მაესტრო მარჩელო ლიპი გახლავთ, რომლის დარი მწვრთნელიც ამჟამად თითოოროლა თუა.

„მე მარადონა არ ვარ, მაგრამ ვამაყობ ჩემი წვლილით ამ გამარჯვებაში. მინდორზე ბოლომდე ვიხარჯები. ეს მაქსიმუმია, რაც შემიძლია. ხალხი ჩემი თამაშით კმაყოფილია და მაფასებს, რაც ძალიან მიხარია. ოცნება ამიხდა, ჩვენ ფინალში ვართ, რაც აბსოლუტურად სხვა განზომილებაა. იმედია, ჩემპიონები გავხდებით, თუმცა ჩვენ უკვე შევქმენით ახალი ისტორია“ — განაცხადა ჯენარო გატუზომ, რომელიც აპენინელთა ნახევარდაცვაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, არც ჩვეული აგრესიანარევი უხეშობით გამოირჩეოდა და ძალიან სასარგებლოდაც ირჯებოდა.

პალერმოელი მარცხენა მცველი, ფაბიო გროსო განასთან მატჩში ნაკრების ერთ-ერთი სუსტი წერტილი იყო. მას მერე კი ახალგაზრდა ფეხბურთელი, როგორც ჩანს, აღარ ნერვიულობს. აკეთებს იმას, რაც შეუძლია — უკანაც და წინაც ძალიან სასარგებლოა. ჯერ იყო და, ავსტრალიასთან მატჩის ბოლო წუთზე გამარჯვების პენალტი მოინადირა, ახლა კი დამატებითი დროის მიწურულს უმნიშვნელოვანესი და ძალიან ლამაზი გოლი შეუგდო გერმანელებს.

„სიტყვები არ მყოფნის გრძნობების გადმოსაცემად. ჩვენ ეს დავიმსახურეთ, რადგან საოცარი გუნდური სულით ვითამაშებს. გოლს ჩემს ცოლს, ოჯახს და მეგობრებს ვუძღვნი. წინ ფინალია და გვჯერა, მისი მოგება შეგვიძლია“ — აღნიშნა გროსომ.

ალესანდრო დელ პიერომ შეცვლაზე შესვლის შემდეგ იტალიელთა თამაშიც უფრო გაამრავალფეროვნდა თავისი გოლიც გაიტანა, თან ისე, როგორც სჩვევია — ალბერტო ჯილარდინოს ჩინებული პასის შემდეგ გოლი, რომ იტყვიან დახატა. მოსალდნელი იყო და, მან გოლი ამჟამად საავადმყოფოში მყოფ ჯანლუკა პესოტოს მიუძღვნა.

დელ პიერო: „ეს ფანტასტიკური მატჩი იყო. ძლიერი მეტოქე მისსავე მოედანზე დავამარცხეთ. მეორე ტაიმი კარგად ვერ დავიწყეთ, მაგრამ თამაში გამოვასწორეთ და გავიმარჯვეთ. გატანა აღრეც შეგვეძლო და არაერთხელ“.

იტალიელთა უპირატესობაზე სტატისტიკაც მეტყველებს, რომლის ფაქტობრივად ყველა მაჩვენებელი აპენინელების სასარგებლოდაა. მათ შორის კარში დარტყმები. ჯანლუიჯი ბუფონი კი თამაშში სულ რამდენჯერმე ჩაერთო, მაგრამ უნაკლოდ.

„პირველ ტაიმში გერმანელებს ნამდვილი საფეხბურთო გაკვეთილი ჩავუტარეთ. მეორეში ცოტა ავირიეთ, მაგრამ მერე დავლაგდით და დამატებითი დრო ღირსეულად ჩავამთავრეთ. როცა ჯილარდინომ და ძამბროტამ ბურთი ძელს გაარტყეს, ვიფიქრე, აჯობებდა, საქმე პენალტებამდე მისულიყო, რადგან, როცა ბედი ერთ მომენტში გჩაგრავს, მეორეში შენკენაა. თუმცა, როცა პოდოლსკიმ კარგი პოზიციიდან თავით ზუსტად ვერ დაარტყა, ეს სურვილი გამიქრა. ახლა კი მხოლოდ ფინალზე ვფიქრობ, სადაც შანსები თანაბარია“.

სასარგებლოდ და ღირსეულად თამაშობდა ფრანჩესკო ტოტიც: „ფეხბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩავწერეთ და ახლა ერთი ცარიელი გვერდიღა რჩება შესავსები. ყოველთვის მადლობელი ვიქნები მარჩელო ლიპის, რომელიც ტრავმის მერე ბოლომდე მენდო. 90 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ამ მუნდიალის მერე ნაკრებს დავტოვებ და მინდა, ეს ჩემპიონის რანგში გავაკეთო. ძალიან ძლიერ გერმანიის ნაკრებთან ჩინებულად ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. უკვე პენალტებზე ვფიქრობდი, მაგრამ გროსოს დარტყმული ბურთი კარში რომ დავინახე, ლამის გონება დავკარგე, არ ვიცოდი, რა ხდებოდა. ისე კი, ერთი თვის წინ ვთქვი, ფინალი იტალია — პორტუგალია იქნება-მეთქი.“

მარჩელო ლიპი: „ნამდვილად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობას ვფლობდით და საბოლოოდ ეს გოლებშიც გარდაისახა. ტრაგედია იქნებოდა, საქმე დამატებით დრომდე მისულიყო. 100, 200 და 300 პროცენტით ბედნიერი ვარ. ძალიან ორგანიზებული გერმანია ათიათასობით ქომაგის თვალწინ დავამარცხეთ. ბოლო წუთებზე აშკარად გავრისკეთ და, საბედნიეროდ, მიზანსაც მივაღწიეთ. შეცვლებმაც გაამართლა. როცა დელ პიერო მინდორზე შევიდა, ვთქვი, რომ გოლს გაიტანდა. ალესანდრო ისე აკვირდებოდა თანაგუნდელებს სკამიდან, თითქოს თავადაც მინდორზე იყო. მას ძალიან უნდოდა თამაში და კარდინალური ცვლილებებიც შეიტანა მასში. ახლა მთავარია, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ“.

„სკუდარა აძურას“ ყველა წევრზე ცალ-ცალკე რომ შევჩერდეთ, ძალიან შორს წავალთ, მაგრამ კიდევ რამდენიმე აუცილებლად უნდა ვახსენოთ. იტალიელთა კაპიტანი ფაბიო კანავარო ალბათ უკვე შეგვიძლია, მუნდიალის საუკეთესო მცველად მოვიხსენიოთ. უკვე წლებია, მცველთათვის უჩვეულოდ ლამაზად ირჯება და ისეთ სიამოვნებას განიჭებს, თითქოს კარგ კომბინაციას, ფინტს ან გოლს უყურებდე, შეტევებში ჩართვასა და მის სხვა შესაძლებლობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ანდრეა პირლო კი ის კაცია, ვინც მუნდიალზე ყველაზე მეტჯერ შეეხო ბურთს. მას კარგი სეზონი არ ჰქონია, მაგრამ ჩემპიონატზე ბრწყინვალედ გამოიყურება და იტალიელთა თამაშის ერთ-ერთი მთავარი წარმმართველია. დაუღალავი ჯანლუკა ძამბროტა კი ყოველთვის ყველგან არის და მინდორზე ნებისმიერი რამის გაკეთება ძალუძს.

დიდი ზეიმი იყო იტალიაში. ქუჩებში უამრავი ხალხი გამოვიდა. გაზეთებმა ერთხმად შეასხეს ხოტბა „სკუადრა აძურას“. რომის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რესტორანი „ჰერონი“ აღრიანად დაიხურა, კარზე კი წარწერა იყო: „ბოდიში, მაგრამ დღეს იტალია თამაშობს.“

„ეს ისტორიული მატჩი და გამარჯვება იყო იტალიელთათვის, რომლებსაც შეუძლიათ ყველას დამარცხება, მათ შორის, უცხოპლანეტელებისაც. გერმანია კარგი გუნდია, მაგრამ იტალიასთან სულ მარცხდება. ამას მარტივი მიზეზი აქვს — ჩვენ უფრო ძლიერები ვართ“ — წერს რომაული „ილ მესაჯერო“.

„ჩვენ თქვენ გვიყვარხართ. ჩვენ უძლიერესები ვართ და ეს ვიცით. დავამარცხეთ გერმანელები, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს ჩვენს პიცას, ხოლო ჩვენ მათზე მოგებას გავუსინჯეთ გემო. ეს ისტორიული მატჩია, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებსა და თავში და რომელმაც მეექვსედ გაგვიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში“ — ამას „კორიერე დელო სპორტის“ ფურცლებზე ამოიკითხავთ.

„გაძეტა დელო სპორტი“ უფრო ლაკონიური იყო — „მაღლა იფრინე, იტალია, მაღლა“. „ლა სტამპაში“ კი ვკითხულობთ: „მათ ყველაფერი გაიღეს, რაც ჰქონდათ და სწორედ ამით დაიმსახურეს მოგება და ოვაციები მთელი მსოფლიოსგან“.

აღსანიშნავია, რომ დორტმუნდში გერმანელები ყოველთვის განსაკუთრებით ძლიერად თამაშობენ, რადგან „ვესტფალენშტადიონზე“ საუცხოო გარემოა. ამ სტადიონზე „ნაციონალმანშაფტი“ 1935 წლიდან თამაშობს და 14 შეხვედრაში 13-ჯერ გაემარჯვა.

ნაციონალმანშაფტი და ნაციონალლანდშაფტი

ბუნებრივია, რადიკალურად განსხვავებული განწყობა იყო გერმანიაში. პრესას ნაკრები მაინცდამაინც არ უკრიტიკებია, თუმცა ერთიორი ცინიკური კომენტარი მაინც იყო. ყველაზე ზუსტად კი სათქმელი პოპულარულმა გამოცემა „ბილდმა“ თქვა — „ჩვენ თქვენთან ერთად ვტირით! თქვენ ისევ გმირები ხართ!“ — ამ ტექსტს ფონად თავში ხელებწაშენილი და დამწუხრებული იურგენ კლინსმანის დიდი ფოტო ჰქონდა, კლინსმანისა, რომელმაც მართლაც კარგად დაიწყო სამწვრთნელო კარიერა, მატჩის შემდეგ კი თქვა, ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ, ნახევარფინალში გასვლა ჩვენთვის დიდი მიღწევა იყო, თანაც უფრო შორს წასვლაც შეგვეძლო, მაგრამ იტალიამ დამსახურებულად მოიგოო.

ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი და მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ფრანც ბეკენბაუერი: „იტალიელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. აპენინელები უფრო ჭკვიანურად თამაშობდნენ და, რაც მთავარია, უფრო გაუმართლათ კიდეც. რაც შეეხება კლინსმანს, ჩვენ გვჯეროდა მისი და ახლაც გვჯერა. ჩემი აზრით, იგი ნაკრებში უნდა დარჩეს და იმედია, ასეც იქნება.“

„მას ცოტა დრო უნდა, რათა ოჯახთან ერთად იმსჯელოს. ვიცი, რაოდენ მნიშვნელოვანია იურგენისთვის ოჯახი. იმედია, იგი ნაკრებში მუშობას გაგრძელებს, რადგან გუნდში პოზიტიური გარემო და სასიამოვნო სიახლეები შეიტანა, რამაც ჩვენ ოპტიმიზმის საფუძველი მოგვცა“ — განაცხადა გერმანიის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარემ გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა.

ამერიკული პრესა კი იუწყება, რომ 41 წლის კლინსმანს აშშ-ის ნაკრების თავკაცობას და წელაწადში 2,8 მილიონ დოლარს სთავაზობენ.

და ბოლოს, უსიამოვნო ინციდენტები მაინც მოხდა. გერმანიის რამდენიმე ქალაქში გაბრაზეუბული ქომაგები იტალიურ რესტორნებს დაერივნენ და იქაურობა მილეწ-მოლეწეს. ჩხუბიც იყო, მაგრამ არავინ დაშავებულა. პოლიციამ რამდენიმე ათეული ფანი დააკავა.

გიორგი ძაძაგაძე

გიო ახვლედიანის სვეტეული



როცა მის ფეხზე ბურთი არ ტირის

სმა რო ატყდება ხოლმე და ერთი რო ზის, არც ლაპარაკობს, დიდად არც სვამს, თუმცა ისეც არ არის, რო საერთოდ არ სვამდეს და მერე, ბოლოსკენ უცებ იფხიზლებს, ახმაურდება, სმასაც შესამჩნევად უხშირებს, ამბებსაც გასაგონად მოჰყვება, სადღეგრძელოებსაც დასამახსოვრებლად დასძახებს და ბოლომდეც გავა.

ასეთი გამოცოცხლებით გახარებული მეგობრები დასძახებენ:

— გაეხსნა ამას, გაეხსნა...

იტალია აქამდეც არაუშავრა ირჯებოდა, განსაკუთრებით დაცვაში, ნახევარფინალში კი საუცხოო თამაში გამოაგდო. ახლა ამ თამაშზე საკუთარი შეგრძნებების გადმოცემას სულაც არ ვაპირებ. 119 წუთის განმავლობაში კვლავ უგოლო ამბავი მიდიოდა და გადასარევი ის გამოვიდა, რომ იტალიამ მოიგო ლამაზი გოლით. მერე მეორე მიაყოლა, თუმცა ფასი პირველს ჰქონდა. მერე ისევ პენალტები დაიწყებოდა, რაც ეგებ საინტერესოა, მაგრამ ამ ჩემპიონატშიც იყო თამაშები, როცა გუნდი ან გუნდები 50-ე წუთიდან პენალტებს ელოდებოდნენ.

იტალიელების მოგებული პენალტები მე არ მახსოვს. იქნება სადმე, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მეხსიერება ისეთი რამეა, ვერაფერს გაუგებ. მაგალითად, წინა ჩემპიონატის კორეა — იტალიიდან კრისტიან ვიერიმ რო ააცილა, მახსოვს, კორეელებმა როგორ გაიტანეს, არა. და რა დაგამახსოვრდება კაცს ამ თამაშიდან? ალბათ, რამდენიმე ამბავი და გოლი. ერთ-ერთი ამბავი კი ის იქნება, რომ იტალიელებს პირველად 101-ე წუთზე გაეპარათ გერმანელი. გაეპარათ კი არა, ოდონკორმა ჩააწოდა და ჰოდოლსკიმ თავისუფლად დაარტყა თავით. გვარიანად ააცილა. ბუფონი კარიდან გამოვარდა და მცველებს ლანძღვა დაუწყო, როგორ დატოვეთო. 101-ე წუთზე, როგორ დატოვეთო. ეს არის იტალიური ამბავი. წესრიგი, დაცვის ხელოვნება. წინ კიდევ, თუ კეთილი მწვრთნელი გამოადგათ, იცოცხლე, თამაში იციან. ჰოდა, გამოადგათ კეთილი მწვრთნელი, ამიტომაც არიან ფინალში. წინა ორი მოხუცი მათ ვერსად გაიყვანდა. მოხუცები თამაშში ერთი ზუსტი დარტყმის იმედად იყვნენ.

ახლა კიდევ, თქვენ უპირატესობა გაქვთ: ეს გაზეთი რომ გამოვა, უკვე მეორე ფინალისტიც გეცოდინებათ.

მე კიდევ არ ვიცი, უბრალოდ, მგონია, რომ დამატებითი დრო არ იქნება. და სკოლარის კი რაღაც ისეთი მოუფიქრებია, რაც ფრანგებს ნერვებს დააწყვეტს. ამ დღეებში ფრანგული გაზეთები პორტუგალიელებს აკრიტიკებდნენ, ძალიან ბევრ შეცდომებს უშვებენო, წუნი აქვთო. ეს კრიტიკა სკოლარიმ სასაცილოდ აიგდო: მსოფლიოში ყოველდღე უამრავი ფეხბურთელი ცდება, ბრაზილიელიც და კუვეიტელიცო.

ფილიპე ამბობს, რომ თამაშის ბედის გადაწყვეტა ზიდანს შეუძლია.

როცა მის ფეხთან მიდის, ბურთი არასოდეს ტირისო, ზუსტად ასე თქვა პორტუგალიელების მწვრთნელმა.

ამ თამაშის არსიც ამ ნათქვამშია დამარხული.

რა მოუფიქრა ფილიპამ ზიდანს?

თქვენ უკვე ნანახი გაქვთ, რა მოუფიქრია და რა გამოუვიდა.

კოშტინია. კოშტინია იყო გარეული ამ საქმეში?

კოშტინია ისეთი ფანატიკური მოვარჯიშე და თამაშით მცხოვრები კაცია, რომ „მონაკოში“ „მინისტრს“ შეტევა, დიდხანს კოტრიალი და უცაბედი აფეთქებები. ხშირად კი დგომა, ზოზინი და, ვთქვათ, საბჭოთა კავშირთან 0:5 წაგება, ფედია ჩერენკოვის ქუსლით თამაშებზე გამოშტერება და ასე დაუსრულებლად. ახლა იქ დიდი ფილია, რომელმაც მათ მოუტანა სისწრაფე და ორგანიზაცია, სანამ დიდი ფილია, პორტუგალია ყველგან და ყოველთვის ოთხეულში იქნება. მთავარი მიზეზი, რის გამოც პორტუგალიელებმა გახსნის და ფინალური თამაშები წააგეს წინა ევროპის ჩემპიონატზე, მათი მასპინძლობა იყო. ნერვოს, ნერვოს... ტვირთი დიდი იყო, მათ კი არ უყვართ დამატებითი, საშინაო ტვირთი.

მოკლედ, არ ვიცი.

იტალიას და გერმანიას მადლობა უნდა ვუთხრათ ამ თამაშისთვის.

ფაბიო გროსოს განსაკუთრებით: გამოგორებულ, მოძრავ ბურთზე, რა ტკბილად, რა გიჟურად ჩაახვია აუღებელი. ეს დარტყმა ნიშნავდა, რომ გარშემო ყველაფერი ნამდვილია თავიდან ბოლომდე, კაცი ისე ჩაბმულა თამაშში, რომ უკან მოხედვა არ სურს, არ ფიქრობს, ერთი-ორი წუთიც და გავმწკრივდებით პენალტების დასარტყმელადო. ფეხბურთიც ესაა, მეტი კი არაფერი. ოღონდაც, ზოგჯერ ფეხბურთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიკვდილი და სიცოცხლე და ეს სწორედ ასეთი წამი იყო და თამაშიც როგორღაც ასეთი გამოვიდა: რაც უფრო მიდიოდა დასასრულისკენ, მოთამაშეებს თითქოს უფრო და უფრო არ უნდოდათ მისი დასრულება და პენალტებამდე გადაყვანა. პენალტები [illegible] ლაზე ცუდი და ჩაკეტილი იტალიის საქმე.

ენცო ბეარზოტ, მგონი, რაღაცით შენი ფეხბურთიც იყო სამშობლოს საღამოს. შენი ძველი ფეხბურთი, არასაჩემპიონო, მანამდელი. ის კარგი და კულტურული ფეხბურთი იყო, მაგრამ ჩემპიონობა ვერ მოიტანა.

გროსოს ზეიმი კი რაღაცით გავდა მარკო ტარდელის დაუვიწყარ, გადარეულ ზეიმს 1982 წლის იტალია — გერმანიის ფინალის დროს.

ის ფოტო, შეშლილი ტარდელი რომ გარბის სადღაც, შემთხვევით ნაშოვნი „ტაიმსის“ პირველი გვერდიდან ამოვჭერი. დიდხანს მქონდა, გაქრა და გაიბნა. არ მგონია, რომ დაკარგულიყო, ეგებ მიიმალა. ასე იციან ძველმა ფოტოებმა. ამ დღეებში ვეძებდი და ვერ ვიპოვე.

ის ფოტო ფეხბურთის ნამდვილი სახეა.

არც ერთი სხვა სახე ისე არ უხდება ფეხბურთს, როგორც გოლის გამტანი, გადარეული ფეხბურთელისა, რომელმაც არ იცის, სად გარბის. მე მგონი, ვიცი: სიკვდილსა და სიცოცხლეს იქით.

ძველები ბრაზობენ ხოლმე: რა არი გადასარევი? ძველად ხელს ჩამოართმევდნენ ერთმანეთს და მიდიოდნენ ცენტრისკენ.

არის.

ფაბიო გროსოს მარჯვედ მოქნეული მარცხენა და ტრიუმფი

გადავაჯვარედინოთ თითები

გასაკვირი არაფერი მომხდარა

„კრუზეიროს“ ლეგენდარული თავდამსხმელი, 1970 წლის ბრაზილიის უდიადესი ნაკრების ერთ-ერთი გამოჩენილი ვარსკვლავთაგანი, მსოფლიოს ჩემპიონი, ინტელექტუალური, პოზიციური ფეხბურთის დიდოსტატი — აი, ასეთი კაცია ედუარდო გონკალვეშ დე ანდრადე, ჩვენთვის და მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის გასაგებად — ტოსტაო, რომელსაც 1969 წლიდან გამიზეზებულმა თვალის ბადურის დაავადებამ 1974 წლის მუნდიალზე თამაშის საშუალება აღარ მისცა. დღეს სეუ ტოსტაო გაზეთ „ფოლია დე სან პაულუს“ მესვეტეა და მის მოსაზრებებს სხვა ქვეყნების გაზეთებიც ხშირად გადაბეჭდავენ ხოლმე

1970 წელი. მექსიკა. ბრაზილია — იტალია 4:1. ჩემპიონობაში თავისი და დიდი წილი ტოსტაომაც დაიდო

— ბატონო ტოსტაო, დავიწყოთ საფრანგეთის ნაკრებთან მარცხით. რას იტყვით ამ შეხვედრის შესახებ?

— ბრაზილიამ ძალიან ცუდად ითამაშა, მატჩის შედეგი სრულიად სამართლიანია. უპირველესად იმას ვიტყვი, რომ სათამაშო გეგმა იყო არასწორად შერჩეული — ნახევარმცველები მეტისმეტად უკნიდან თამაშობდნენ, რითაც ზიდანს, ვიეირას და მაკელელეს სივრცეს აძლევდნენ. ასეთ პირობებში ფრანგები ბურთს აგორავებდნენ და შეხვედრის ბატონ-პატრონები იყვნენ. გარდა ამისა, ფეხბურთელები ინდივიდუალურად იყვნენ ძალიან სუსტები. ერთი სიტყვით, გასაკვირი არაფერი მომხდარა. საფრანგეთს ისეთი გუნდი ჰყავდა, რომელსაც ბრაზილიის დამარცხება დიახაც, ხელეწიფებოდა. იმ მეოთხედფინალში ერთმანეთის პირისპირ ერთი დონის გუნდები იდგნენ. საოცარი მხოლოდ ის იყო, რომ ბრაზილიამ მოწინააღმდეგეს პირველივე წამიდან დაუთმო ბურთი.

— ბრაზილიელი ქომაგები თავიანთ ფეხბურთელებს უკვე პირველ ტაიმში მოუწოდებდნენ ბრძოლისკენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ „სელესაო“ უგულოდ მიუდგა საქმეს?

— არავითარ შემთხვევაში. აქ საქმე მხოლოდ და მხოლოდ სტილთან გვაქვს, იმ მანერასთან, რომელიც კარლოს ალბერტო პარეირას უყვარს. ბრაზილიის ნაკრები მთელი ტურნირის განმავლობაში ერთსა და იმავეს თამაშობდა, მეტოქეს მეტ სივრცეს უთმობდა. პარეირას უყვარს, როდესაც მისი გუნდი დაცვაში გამაგრებულია და მოწინააღმდეგეს უშუალოდ კართან მისასვლელ გზებს უკეტავს, მაგრამ მეტოქემ ბრაზილიელ მცველთა ოთხეულში შეძვრომის საშუალება გამონახა და პრობლემები შექმნა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ ბრაზილიის ნაკრებმა ამოცანას თავი ვერ გაართვა, ბურთისთვის ვერ იბრძოლა და აგრესიულობაც აკლდა. სხვა საქმეა, რომ პირველ სამ შეხვედრაში მეტოქემ ვერ გაუწია წინააღმდეგობა და პარეირას გუნდს ცუდი თამაშით გამარჯვების საშუალება მისცა, ხოლო როდესაც ბოლოს და ბოლოს მეტოქედ ტოლ-სწორი გუნდი გამოჩნდა, რაც მოხდა ყველამ ვნახეთ.

— თქვენ ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ბრძანდებით და 1970 წელს მექსიკის სტადიონებზე ბრწყინავდით. ამიტომაც, სწორედ თქვენგან გვაინტერესებს, რატომ ვერ გამოჩნდნენ ახლანდელ ტურნირზე ისეთი ფეხბურთელები, როგორიც არის, მაგალითად, რონალდინიო.

— უპირველეს ყოვლისა, თუ გუნდი მთლიანობაში არ არის ძლიერი, ცალკეული ფეხბურთელი თავს ვერ გამოიჩენს. ტყუილია, როდესაც ამბობენ, რომ გუნდს კარგად ცალკეული ფეხბურთელები ათამაშებენ. მერე, პარეირას არც უცდია დაენერგა თამაშის ის სტილი, რომელიც რონალდინიოს, კაკას თუ სხვა რომელიმე ფეხბურთელს მიესადაგებოდა. თითოეული მათგანი კლუბში ნაკრებისგან განსხვავებულად თამაშობს. მაგალითად, „ბარსელონაში“ რონალდინიო შეტევისას თავისუფალია. საერთოდ, „ბარსელონა“ ბრაზილიის ნაკრებისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა მაინც ვიმედოვნებდი, რომ რონალდინიო, როგორც ვარსკვლავი მეტად გამოჩნდებოდა. იმედი გამიცრუვდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რონალდინიოს ის კლასი აღარ აქვს. რამდენიმე, თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშის გამო ხალხმა მასზე გული არ უნდა აიყაროს. ცხადია, ამიერიდან მათ განსაკუთრებული სიმკაცრით მოსთხოვენ, მაგრამ მწამს, მას და კაკას ძველი რეპუტაციის აღდგენის საშუალება მიეცემათ.

— ახლა დადებითი მხარის მონახვა ვცადოთ. რომელი ბრაზილიელი ფეხბურთელი მოგეწონათ?

— კარგები იყვნენ ისინი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე სუპერვარსკვლავის რანგში არ ჩავიდა. კერძოდ, ცენტრალური მცველები, ჟუანი და ლუსიო. კარგი იყო დიდაც. მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობებისა, მომეწონა ზე რობერტოც. ისინი ამოცანას კარგად ართმევდნენ თავს.

— სამომავლო იმედისას რას იტყვით?

— ხანდახან უნდა წააგო, რათა მიხვდე, რომ გასული ეპოქის საუკეთესო ფეხბურთელები ახლა უნდა წავიდნენ. და მაინც, კაფუსთან, რობერტო კარლოსთან და თვით რონალდოსთან დაკავშირებით პარეირასი მესმის. ყველას, თვით კრიტიკისთვის მოწოდებულ პრესასაც კი ეგონა, რომ ისინი ძველებურად ითამაშებდნენ. მე თუ მკითხავთ, კაფუმ და ემერსონმა რობერტო კარლოსს უნდა მიბაძონ და ნაკრებში თამაშს თავი უნდა დაანებონ, ხოლო რაც შეეხება რონალდოს, 29 წლის მიუხედავად, ის ჯერ კიდევ გამოსაძახებელია. ამ ეტაპზე იგი თავის ასაკთან შედარებით ასაკოვნად, ურიცხვი ტრავმების გამო გამოიყურებოდა. რონალდო ძველებურად სწრაფი და მობილური აღარ არის, მაგრამ მას შეუძლია სტილი შეიცვალოს, ჩვენ კი თითები უნდა გადავაჯვარედინოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ მუნდიალზე კაკას და რონალდინიოს ახალი ვარსკვლავები ამოუდგებიან მხარში. გარდა ამისა, ვფიქრობ, მწვრთნელი უნდა შეიცვალოს, რაც ნაკრებში ახლანდელ დამთრგუნველ ატმოსფეროს შეცვლის.

რეალმა კაპელო, კაპელო ვის?

მადრიდში დიდი მოლოდინებია

ფაბიო კაპელოს მადრიდელობა გადაწყვეტილია. იტალიელი მწვრთნელი „იუვენტუსს“ გუშინ დაემშვიდობა და ესპანეთს ჩაფრინდა, რათა „რეალს“ სამი სეზონის განმავლობაში უხელმძღვანელოს.

60 წლის კაპელო „რეალს“ 10 წლის წინათაც თავკაცობდა, 1996-97 წლების სეზონში. მაშინ სამეფო თეთრებმა ესპანეთის ჩემპიონობა მოიგეს.

მოგეხსენებათ, მადრიდული გრანდის ამასწინანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში რამონ კალდერონმა გაიმარჯვა, კანდიდატმა, რომელიც ხალხს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კაპელოს დაბრუნებას დაჰპირდა და აღასრულა კიდეც — დღეს იტალიელთან კონტრაქტს ოფიციალურად გააფორმებენ.

ესპანური გაზეთების ცნობით, „რეალში“ დონ ფაბიოს ხელახალ დანიშვნას, კლუბში „ლიონის“ მაჰამადუ დიარას, „იუვენტუსის“ ემერსონის და მილანელი კაკას გადაბარგება მოჰყვება.

კაპელო სხვადასხვა დროს „მილანის“ (1991-96, 1997-98), „რომას“ (1999-2004) და „იუვენტუსის“ (2004-06) მწვრთნელი გახლდათ. შვიდჯერ მოუგია იტალიური სკუდეტო და ერთხელ ესპანური პრიმერადივიზიონი. „მილანთან“ ერთად 1994 წელს ჩემპიონთა თასი და ევროპის სუპერთასი მოიპოვა. ოთხჯერ კი იტალიის სუპერთასი მოუგია — სამჯერ „მილანთან“ და ერთხელ „რომასთან“ ერთად.

ლადო ხომერიკი

სივკას ნიჭს ჯუელმა და უიგანმა გზა ფართო მისცეს

ინგლისურმა „უიგანმა“ ნიჭიერი პოლონელი ნახევარმცველი ტომაშ სივკა დაიმატა. პოლ ჯუელის გუნდში იგი გარკვეული ხნის მანძილზე ვარჯიშობდა და, როგორც ჩანს, მოწონება დაიმსახურა. მერე 18 წლის სივკა სამშობლოში დაბრუნდა სკოლის დასამთავრებლად და ახლა „უიგანთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. რა თანხა მიიღო მისმა ყოფილმა კლუბმა, ზაბეჟეს „გურნიკმა“ არ ხმაურდება. ახალგაზრდა ფეხბურთელით კიდევ ბევრი გუნდი იყო დაინტერესებული, მათ შორის მიუნხენის „ბაიერნიც“.

ტომაშ სივკა: „პოლ ჯუელი და „უიგანი“ ყველაზე მეტად იყვნენ ჩემით დაინტერესებულნი და მეც აქ გადმოსვლა ვარჩიე. ძალიან გახარებული და მადლობელი ვარ ნდობისთვის. იმედია, სამაგიეროს ჩემი კარგი თამაშით გადავიხდი, როდის მოვხვდები ძირითად გუნდში, ჯერ არ ვიცი, მაგრამ თავს ნამდვილად არ დავზოგავ და ყოველთვის ვეცდები, კარგად გავისარჯო. ინგლისში სასწავლებლად და კლასის ასამაღლებლად ჩამოვედი“.

„მას კარგი შანსი აქვს ძლიერ ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს. სივკას ჩინებული მონაცემები აქვს. ტექნიკური და ჭკვიანი მოთამაშეა“ — მოკლედ დაახასიათა ჯუელმა.

ძოკი ძანდელაძი



ბექზარალი

დევიდ ბექემის განცხადება, ინგლისის ნაკრების კაპიტნობიდან გადადგომის შესახებ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ეგებ, 20 მილიონგირვანქიან ზარალად დაუჯდეს.

ფეხბურთის მამები ამბობენ, რომ ნაკრებისთვის სასპონსორო და სავაჭრო ხელშეკრულებების დადება, ბექემის არკაპიტნობის პირობებში გაუჭირდება.

ასოციაციამ შარშან 200 მილიონის სასპონსორო და სატელევიზიო თანხები მიიღო, რამაც ინგლისი უმდიდრეს საფეხბურთო ქვეყნად აქცია.

ამას ძალიან ეხმარება ბექემის მოულოდნელი პოპულარობა მსოფლიოში, კერძოდ, აზიასა და ამერიკაში, საიდანაც გახლავან ასოციაციის მთავარი კომერციული პარტნიორები.

საიდუმლო არ არის: ბექემის ყოფნა ნაკრებში კომერციულ წარმატებას ნიშნავს.

ბექემი — დიადი ბანკია.

ბრენდის ექსპერტი გევან სტიუარტი ამბობს: „ბექემი რომ ადრე გამხდარიყო ნაკრების კაპიტანი, თავისი მომავალი შემოსავლის 50 მილიონ გირვანქას ვერ მიიღებდა, მაგრამ რახან კარიერის მიწურულს გახდა კაპიტანი, წაგებული, ასოციაცია იქნება. 15-20 მილიონის სპონსორობა მოაკლდებათ. ინგლისის ნაკრების ყველაზე დიდ მსოფლიო აუდიტორიას ბექემი ქმნის.“

ბაჭია თოფს ეთამაშება

ხავიერ სავიოლას მომავალ სეზონში, სავარაუდოდ, ლონდონის „არსენალის“ შემადგენლობაში ვიხილავთ. „ბაჭია“ ახლა „ბარსელონას“ ეკუთვნის, კატალონიურ გრანდთან კიდევ ერთი წლით უწევს კონტრაქტით თანამშრომლობა, თუმც იგი არც „ბარსაში“ აპირებს დაბრუნებას და არც „სევილიაში“ დარჩენას, კლუბში, სადაც 2005-06-ის პრიმერადივიზიონში ოვარით ითამაშა და უეფას თასიც მოიგო. არგენტინელის მიზანი ინგლისში, კერძოდ, „არსენალში“ გადასვლა ყოფილა.

„ხავიერ სავიოლას ბერძნულმა „პანათინაიკოსმა“ ფინანსურად უფრო ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზა, თუმცა ფეხბურთელი „არსენალში“ წასვლის მომხრეა. მისი თქმით, იქ უფრო დიდი პერსპექტივები აქვს“ — ვკითხულობთ გუშინდელ „მარკაში“. თუმც მადრიდული გაზეთი ბერძნული და ინგლისური კონტრაქტების ფინანსურ მხარეს არ გვიმხელს.

ამჟამად ბარსელონაში „ბაჭიას“ საფეხბურთო წარმომადგენელი ალფრედო კაბრერა იმყოფება და ჩიკი ბეგირისტაინთან სავიოლას „ბარსელონადან“ გამოსყიდვაზე ვაჭრობს. ბარსელთა დასახელებული თანხა არც ისე დიდია — 3,5 მილიონი ევრო.

ლადო ხომერიკი

იური, არ გეკადრება ტყუილი!

სომხური სისხლის მქონე ფრანგი ფეხბურთელი იური ჯორკაეფი, რომელიც 1998 წელს „მამლების“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, ბრაზილია — საფრანგეთის მეოთხედფინალს ესწრებოდა. ერთი შეხედვით ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ...

„29 ივნისს იურიმ გვითხრა, რომ ოჯახში მოულოდნელად პრობლემები შეექმნა და ამის გამო რამდენიმე დღით კლუბის დატოვება და საფრანგეთში წასვლა მოუხდებოდა. მას არ უთქვამს, რომ ფრანკფურტში მეოთხედფინალურ მატჩზე დასწრებაც ჰქონდა გეგმაში“ — ნათქვამია 38 წლის ნახევარმცველის ამჟამინდელი კლუბის, „ნიუ იორკ რედ ბულის“ ოფიციალურ განცხადებაში. ამის გამო „რედ ბულმა“ გადაწყვიტა, ვეტერან ფეხბურთელთან კონტრაქტი გაწყვიტოს. როგორც ჩანს, გუნდში დარჩენა თავად ჯორკაეფსაც აღარ სურდა.

იური ჯორკაეფი

„რა თქმა უნდა, ჩვენ შევასრულეთ მისი თხოვნა და ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად წასვლის ნება დავრთეთ, რის მერეც იგი უნდა დაბრუნებულიყო. თუმცა არ ვიცოდით, რომ იგი ჩვენთან თავს კარგად არ გრძნობდა“ — თქვა „რედ ბულის“ წარმომადგენელმა.

გიორგი კაკაბაძე

ექვსში ერთი

უეფა ფინალს ლიუბლიანაში იტყვის

უეფას თასის 2008 და 2009 წლების ფინალების მასპინძლობის კანდიდატად უეფამ ექვსი სტადიონი დაასახელა.

ორივე წელს ფინალის მასპინძლობის შანსი აქვთ ჰამბურგის „აოლ არენასა“ და თელ ავივის „რამათგანს“. ასევე 2008 წლის უეფას თასის გადამწყვეტი მატჩი შესაძლოა ჩატარდეს „სიტი ოფ მანჩესტერზე“ ანუ „მანჩესტერ სიტის“ სტადიონზე, ანაც სტამბოლის „შუქრი სარაჩოღლუზე“. რაც შეეხება 2009 წელს, კანდიდატებად კოპენჰაგენის „პარკენი“ და ბუქარესტის „ნაციონალიც“ არიან.

უეფა საბოლოო გადაწყვეტილებას ადმინისტრაციის საბჭოს კრების მერე მიიღებს, რომელიც სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში 4-5 ოქტომბერს ჩატარდება.

კოკი კანდელაკი

ოსიანი ათამდე

გლაზგოს „რეინჯერსისა“ და შოტლანდიის ნაკრების ფორვარდმა კრის ბოიდმა კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა.

22 წლის ფეხბურთელი „ჩაფრებმა“ იანვარში „კილმარნოკიდან“ გადაიბირეს და ამ ტრანსფერმა აშკარად გაამართლა. თავდამსხმელმა ხუთ თვეში ოცი გოლი გაიტანა.

კრის ბოიდს სანაკრებო დებიუტიც საუცხოო გამოუვიდა. მაისში გამართულ კირინის თასზე შოტლანდიელებმა ბულგარეთს 5:1 მოუგეს და რეინჯერსელმა დუბლი შეასრულა. ბოიდს კლუბთან სამწლინახევრიანი კონტრაქტი ჰქონდა, მაგრამ მწვრთნელ პოლ ლე გუენის დაჟინებული მოთხოვნით ხელშეკრულება გაგრძელა. „მოხარული ვარ, რომ 2010-მდე დარჩენა გადაწყვიტა. კარგი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, უფრო და უფრო უკეთესი გახდება“ — განაცხადა ლე გუენმა.

თავის მხრივ, კმაყოფილია კრის ბოიდიც, რაკი სამომავლო გეგმები გაარკვია: „ძალიან სასიამოვნოა, რომ კიდევ ოთხი სეზონი ვითამაშებ „რეინჯერსში“. მწვრთნელი მენდობა და ვეცდები, მისი მოლოდინი გავამართლო.“

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი ჰრიოდ. თამაზ თამაზაშვილი
უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად დაშედეგით კმაყოფილი დარჩები
• უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
• გარანტირებული მედეგები
• უახლესი ტექნოლოგიები ამერიკული ტექნოლოგიები
HAIRLINE INTERNATIONAL
მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამერიკავკასიაში
ქავთარაძის 16 (სამეუნიერო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

ბარსას გეფიცებით!

ლეო მესი მუნდიალისგან და ქალებისგან ისვენებს

ლეო მესიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების გენერალურ ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო. მეოთხედფინალში მასპინძელი გერმანიისა და თავისიანთა 120-წუთიან შეხლა-შემოხლის დროს „პატარა მარადონა" სათადარიგოთა სკამზე იჯდა. არგენტინელებმა ის შეხვედრა საბოლოოდ პენალტების სერიით წააგეს, მათი გულშემატკივარი და მედია კი ალბისელესტეს მწვრთნელ ხოსე პეკერმანს განურისხდა, მესის მოედანზე შესვლით ვინძლო საქმე ძირითად დროშივე ჩვენს სასარგებლოდ დაგვემთავრებინაო. მუნდიალის, არგენტინისა და „ბარსელონას" შესახებ ლეოს კატალონიური „ელ მუნდო დეპორტივოს" ჟურნალისტები გაესაუბრნენ

— თქმა არ უნდა, მსოფლიოს პირველობაზე წაგებას ახლაც ძალიან განიცდით...

— ძალიან არა, თუმცა, არ დაგიმალავთ და, მწყინს, როცა მუნდიალზე პირველობისთვის სხვები იბრძვიან, არგენტინა კი ჩემპიონატს მიღმა დარჩა.

— გერმანიასთან მატჩის შემდეგ პრესაში უამრავი მოსაზრება გამოითქვა თქვენთან დაკავშირებით. ამათგან ყველაზე მიუღებელი რომელი იყო?

— ზოგ არგენტინულ გაზეთში წავიკითხე, თითქოს არ მაინტერესებდა, ნახევარფინალში გავიდოდით თუ არა. ეს სისულელეა. თამაშის მერე გასახდელში რომ შემოსულიყვნენ და ენახათ, რა დღეში ვიყავი, მიხვდებოდნენ, არგენტინის წაგება როგორ განვიცადე.

— მუნდიალზე საერთოდ, ცოტა ხნით იყავით მინდორზე. ამას რა ახსნას უძებნით?

— ეს არგენტინის ნაკრების მწვრთნელ პეკერმანს უნდა ჰკითხოთ. მან გადაწყვიტა, სათადარიგოებში ვყოფილიყავი. ალბათ, იმიტომ, რომ გუნდში სხვა კარგი ფეხბურთელებიც იყვნენ, სავიოლა და კრესპო.

— ანაც მწვრთნელს თავისი ფავორიტები ჰყავდა...

— არა მგონია. ალბათ, უფრო თამაშის სპეციფიკით ხელმძღვანელობდა.

— გაგიკვირდათ, როცა პეკერმანმა მწვრთნელობიდან წასვლის შესახებ განაცხადა?

— დიახ. ვთვლი, რომ არგენტინას ურიგოდ არ უთამაშია ამ მუნდიალზე.

— ამბობენ, ალბისელესტეს დამრიგებლად კარლოს ბიანკი მოდისო. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. დარწმუნებული ვარ, ნაკრებში ულირსი არავინ მოვა.

— საერთოდ, განვლილი სეზონის შესახებ რას ფიქრობთ?

— კარგი წელი იყო, სანამ ტრავმას მივიღებდი. ტრავმის გამო კი კარგა ხნით უქმად ყოფნამ მომიწია და მუნდიალზეც კარგად ვერ გამოვედი. დანარჩენი გადასარევი გახლდათ, „ბარსასთან" ერთად ბევრი ჯილდოს მოპოვება ვიზეიმე...

— საკუთარ თავს რა ნიშანს დაუწერდით?

— არ ვიცი. ისე კი, კმაყოფილი ვარ იმით, რაც გასულ სეზონში გავაკეთე.

— 2005-06 წლების „ბარსაზე" რას გვეტყვით?

— უბრალოდ, ჩვენ მიერ მოგებული ჩემპიონთა თასი და ესპანური პრიმერა გაიხსენეთ. მეტს გუნდს ვერც მოსთხოვ...

— ლეო მესი ახლა არდადეგებით ტკბება, თუმც მალე ახალი სეზონი მოდის. მომავალ ჯილდოებზე უკვე ფიქრობთ?

— მომავალი სეზონის თამაშებზე წინასწარ ფიქრით თავს ნაკლებად ვიტვირთავ. ისე, ვფიქრობ, რომ გაისადაც წარმატებული კამპანია გვექნება, დიდი ჯილდოებიდან ხომ მარტო კოპა დელ რეი ვერ მოვიგეთ.

— თქვენგან რას უნდა ელოდნენ გულშემატკივრები?

— როგორც ყოველთვის, ვეცდები, კარგად ვითამაშო. როცა მინდორზე გასვლის საშუალება მეძლევა, ვცდილობ, გართობა და საქმე ერთმანეთს შევუთავსო.

— მადრიდის „რეალის" პრეზიდენტის არჩევნებზე რამდენიმე კანდიდატი თქვენს სახელს ახსენებდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, „ბარსელონადან" წასვლას არ აპირებთ...

— ჟურნალისტებს ადრეც ვუთხარი და ახლაც გიმეორებთ — „ბარსაში" თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ, აქაური გულშემატკივრების მხარდაჭერასაც ყოველდღე ვგრძნობ და „კამპ ნოუდან" წასვლაც არ მსურს.

— რა უნდა მოხდეს, „ბარსელონასთან" გამომშვიდობებაზე რომ იფიქროთ?

— ჯერ არაფერი მომხდარა ასეთი. თუ ღმერთის ნება იქნება, კარიერას „კამპ ნოუზე" დავასრულებ.

— ვიცით, რომ ტრავმა მოედანზე ნაადრევი დაბრუნებით გაირთულეთ. არადა, ექიმები სიფრთხილეს გირჩევდნენ...

— ჰო, ვიჩქარე მაშინ. ძალიან მინდოდა თამაში და ამას კინაღამ საბედისწერო შედეგი მოჰყვა.

— რა ისწავლეთ ამ მაგალითით?

— ის, რომ ტრავმებთან ხუმრობა არ შეიძლება. ღმერთმა ნუ ქნას და კიდევ თუ ჩავვარდები მსგავს სიტუაციაში, უკვე მეცოდინება, როგორ უნდა მოვიქცე.

— „ბარსელონაში" „ჩელსიდან" გუდიონსენი გადმოვიდა. კონკურენციის არ გეშინიათ?

— რატომ უნდა მეშინოდეს?! პირიქით, გუდიონსენის გადმოსვლას მივესალმები, გუნდისთვისაა უკეთესი.

— როგორ დაგვიხასიათებდით ეიდურ გუდიონსენს?

— რაც ვიცი, ის არის, რომ მტკიცე ნებისყოფა და გოლის ალღო აქვს.

— „რეალის" საპრეზიდენტო არჩევნებში ხუან პალასიოსი ამომრჩეველს, მისი გამარჯვების შემთხვევაში, სამეფო გუნდში ბარსელონელი ანდრეს ინიესტას მიყვანას შეჰპირდა...

— არ ვაქცევდი ყურადღებას იმ არჩევნებს, თუმცა ის კი ვიცი, რომ ინიესტა კვლავ ჩვენთან რჩება. პალასიოსს თავისიანები მოუტყუებია.

— მადრიდელთა ახალი პრეზიდენტი კალდერონი კი ამბობს, სამომავალსეზონოდ კაკას, არიენ რობენსა და სესკს ფაბრეგასს შეეძენთო. ანუ „ბარსა" — „რეალის" ოში უფრო მწვავე იქნება, ვიდრე შარშან...

— ჩვენ შორის დაპირისპირება ყოველთვის მწვავეა. დანარჩენის რა გითხრათ, პრეზიდენტ კალდერონის საქმეებში ვერ ჩავერევი.

— ფაბრეგასი თქვენი მეგობარია. თვლით, რომ ის „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადავა სათამაშოდ?

— ფაბრეგასს უფრო „ბარსელონაში" ყოფნა უნდა. ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, „კამპ ნოუზე" გადმოსვლაზე ვოცნებობო.

— თქვენს მეორე მეგობარს, მეკარე ოსკარ უსტარის კი „ბარსას" წარმომადგენლები დაუკავშირდნენ. კლუბის უფროსობა უსტარიზე არაფერს გეკითხებათ?

— ჯერ არ გვქონია ამაზე საუბარი. ისე კი, ოსკარი ძალიან მაგარი მეკარე და კარგი პიროვნებაა.

— რამე რომ იყოს, „ბარსას" თავკაცებთან ოსკარს თავდებად დაუდგებოდით?

— უეჭველად. მისი შეძენით კლუბი მხოლოდ მოგებას ნახავს.

— მაინტერესებს, მარჯვენა ფლანგზე თამაში თუ მოგწონთ?

— მოედნის ცენტრში თამაში მინდა, მაგრამ თუ ეს პოზიცია დაკავებულია, მარჯვენა ფლანგზე თამაშს ვარჩევდი.

— გაზეთებში ხან ერთი, ხან მეორე გოგოს სურათები ჩნდება, აქაოდა, მესის საცოლეაო...

— კი, ბევრი მაჭანკალი გამომიჩნდა. თუმცა რაც ჩემს ყოფილ საცოლეს დავშორდი, დიდი სასიყვარულო თავგადასავლები არ მქონია. ვისვენებ დროებით...

დიადის დღე

დარჩი, ზიზუ, გამახარე ბერიკაკი

მადრიდის „რეალისა" და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ალფრედო დი სტეფანო გუშინ 80 წლის გახდა. სამეფო გუნდის საპატიო პრეზიდენტს დაბადების დღე „რეალის" ახალმა თავკაცმა რამონ კალდერონმა, კლუბის ჩინოსნებმა და სხვა სახელგანთქმულმა ფეხბურთელებმა მიულოცეს.

„რეალი" გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი, თუნდაც დიდი გუნდი. ჩვენს კლუბში 80 ათასი ინჩასია გაწევრიანებული და მსოფლიოს სპორტული გიგანტებიდან ყველაზე დიდი ვართ. პირადად ჩემთვის კი „რეალი" ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია" — განაცხადა დი სტეფანომ საზეიმო მიღებაზე და იქვე იხუმრა, ყველას მადლობას გიხდით, ბერიკაკის დაბადების დღე რომ არ დაგავიწყდათ და თქვენი სტუმრობით დამაფასეთო.

დონ ალფრედო დი სტეფანო, იგივე „ვერცხლისფერი ისარი" 1926 წლის 4 ივლისს ბუენოს აირესში დაიბადა. კარიერა „რივერ პლეიტში" დაიწყო და 1953 წელს მადრიდის „რეალში" გადავიდა. იქ მოიგო ყველაფერი, რაც კი რამ შეიძლება მოიგო საკლუბო ფეხბურთში — 5-ჯერ ჩემპიონთა თასი, მრავალგზის ესპანეთის ჩემპიონობა, ქვეყნის თასი და კიდევ სხვა უამრავი ჯილდო. დონ ალფრედო ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდაა და, შეიძლება გაგიკვირდეთ, ამ ცხოვრებისგან ყოველმხრივ დაჯილდოებულ კაცს საკუთარი 80 წლის დღეობაზე გული რაზე უნდა დასწყდესო, მაგრამ...

„არის ერთი რამ, რაც გულში ხინჯად მრჩება. დღეს ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ის იქნება, ზინედინ ზიდანმა რომ დამირეკოს და მითხრას — ალფრედო, გადაწყვეტილება შევცვალე, ფეხბურთს არც მუნდიალის შემდეგ მივატოვებ" — თქვა „რეალის" საპატიო პრეზიდენტმა.

ლადო ხომერიკი

ბილარდომ არგენტინას თავი და მარადონა შეახსენა

ხალხს და გრონდონას კი პეკერმანი არ ემეტებათ

არგენტინის ნაკრების თავკაცობა არც მეტი, არც ნაკლები, მისმა ყოფილმა მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ მოიწადინა. შეგახსენებთ, რომ ბილარდოს ხელმძღვანელობით არგენტინელები 1986 წელს მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ, ხოლო 1990-ში ფინალში გავიდნენ. ოღონდ ეგ არის, ამ სპეციალისტს როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში, მოედანზე დიეგო მარადონა ჰყავდა.

და, რა პოზიცია უჭირავს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას? როგორც ირკვევა, გრონდონა არ ჩქარობს და ხოსე პეკერმანის შემცვლელთა ძიებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. მან მხოლოდ ის ბრძანა, რომ უკვირს, რატომ იჩქარა პეკერმანმა თანამდებობიდან გადადგომა, და დასძინა, რომ თუ იგი თავისას მაინც არ მოიშლის, ნაკრებთა მომზადების სისტემაში აუცილებლად მოუძებნის სამსახურს.

აღსანიშნავია, რომ შიდაარგენტინული გამოკითხვების თანახმად, ხალხის მეტ წილს თანამდებობა ისევ პეკერმანისთვის ემეტება.

პაპუნა კედია

დიდი ფეხბურთი და ტონა ცრემლი

გერმანია — იტალიის ნახევარფინალში ჩემპიონატის მასპინძლებმა წააგეს და რკინისნერვებიანი გერმანელი მოთამაშეებიც აქვითინდნენ... რას იზამ, ემოცია მაინც თავისას შვრება.

მუნდიალის მეოთხედფინალში პორტუგალიასთან მარცხნაჭამმა დევიდ ბექემმა ცრემლი ვერ შეიმაგრა, როცა გამოაცხადა, ამ წაგების შემდეგ ინგლისის ნაკრების კაპიტნობას ვტოვებო...

ადრე ემოციას მხოლოდ ლათინოამერიკული და სამხრეთევროპული გუნდები გამოხატავდნენ. 1966 წელს პორტუგალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ინგლისთან დამარცხდა და ლეგენდარულმა ეუსებიომაც საქვეყნოდ დაიტირა თავისიანთა წაგება. მაშინ ყველა განცვიფრდა, ახლა კი ხალხს ცრემლებით ვერავინ გააკვირვებს — მოგებულიც და წაგებულიც, ხშირ შემთხვევაში, ალალად გამოხატავს ემოციას და არაფრის ერიდება.

ლუდოვიკ მანინმა, თითქოსდა ქვისგულა შვეიცარიელმა, უკრაინასთან პენალტებში მარცხი ტელეკამერების წინ იგლოვა. იაპონელი სამურაი ნაკატა კი მაშინ ატირდა, როცა ჯგუფში ბრაზილიასთან გაწბილების შემდეგ მიხვდა, კარიერას ასე უფერულად ვასრულებო.

იტირა მექსიკის მეკარე ოსვალდო სანჩესმაც. ოღონდ ოკეანისგაღმელმა კაცმა ირანთან 3:1 მოგების შემდეგ ვერ შეიმაგრა ცრემლი — აზიელებთან მატჩის ერთ-ერთ გმირს ახლახან გარდაცვლილი მამა გაახსენდა...

ინგლისური ვორვიკის უნივერსიტეტის პროფესორი ბერნარ კაპი კი ამტკიცებს, რომ თანამედროვე ადამიანები უფრო „ადამიანურები" გახდნენ და მთელი მსფოლიოს თვალწინ, მინდორზე ვაჟკაცთა აცრემლებაც საძრახისი არ არის. თანაც, პატივცემული პროფესორის აზრით, კარგა ხანია, ფეხბურთმა წმინდა სპორტული შეჯიბრების მნიშვნელობა დაკარგა და რელიგიას დაემსგავსა.

„დიდ საფეხბურთო ტურნირებზე და განსაკუთრებით მსოფლიოს ჩემპიონატზე, მოთამაშეები მლოცველი პილიგრიმებივით მიდიან. მათი ემოციური დატვირთვა ძალიან დიდია და გასაკვირიც არ უნდა იყოს, თამაშის მერე მოგებულნიც და წაგებულნიც ცრემლად რომ იღვრებიან" — ამბობს ბერნარ კაპი.

ლადო ხომერიკი





ნედვედის ჯანი ბრიუკნერი გაგრძელდება

ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი კარელ ბრიუკნერი კონტრაქტს ორი წლით გაახანგრძლივებს, განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვლასტიმილ კოშტალმა. მისი თქმით, შესათანხმებელი მხოლოდ რამდენიმე დეტალი დარჩა და მწვრთნელი ქაღალდებს ხელს მოაწერს.

66 წლის კარელ ბრიუკნერი ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო მატჩებში უთავკაცებს ნაკრებს და თუ ფინალურ ეტაპზე გაიყვანს, ცხადია, ავსტრია-შვეიცარიაშიც გაჰყვება, სადაც ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.

ჩეხეთის ნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპს 2 სექტემბერს უელსთან მატჩით იწყებს. შეგახსენებთ, რომ ბრიუკნერი 2001 წლიდანაა ჩეხეთის მწვრთნელი. ევრო 2004-ზე ნახევარფინალში ბერძნებთან დამარცხდნენ, მსოფლიოს ამ ჩემპიონატზე კი ჯგუფიდან ვერ გავიდნენ, მაგრამ მხცოვან ბრიუკნერს ფედერაცია მაინც ენდობა.

ჩეხთა ლიდერ პაველ ნედვედს კი ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელებს თუ არა ნაკრებში თამაშს: „ჩემპიონატიდან გამოვარდნის შემდეგ რამდენიმე დღე ვფიქრობდი და, ალბათ, კარიერას არ დავასრულებ. ჯერ არ ვიცი, მხოლოდ კლუბში ვითამაშებ, თუ ეროვნულ ნაკრებშიც. სანაკრებო პერსპექტივა საეჭვოა, რადგან ორი წელია ევრო 2008-მდე. აგვისტოში 34-ის ვხდები და ეგებ ჯანი არ მეყოს ნაკრების დასახმარებლად".

ბენიტესი ბეტისიდან ბანფილდამდე

ხოაკინის ფასი ევროპულ სატრანსფერო ბაზარზე არ დაცემულა. მიუხედავად იმისა, რომ ბეტისელ ნახევარმცველს გასულ სეზონში არც საკლუბო დონეზე გადაურევია მტერ-მოყვარე და არც მსოფლიოს ჩემპიონატზე მიუღწევია წარმატებისთვის, „ლივერპულს" მაინც სურს მის შეძენა. მადრიდული „ასის" ცნობით, ბენიტესის კლუბი მზადაა, ხოაკინში 16 მილიონი ევრო გადაიხადოს. თან, ინგლისელები სატრანსფერო ოპერაციაში თავიანთი ფეხბურთელების ჩარევასაც აპირებენ — „ლივერპული" „ბეტისის" ვარსკვლავის სანაცვლოდ ანტონიო ბარაგანს (მარჯვენა მცველი), ბუდეევინ ზენდენს (მარცხენა ნახევარმცველი) და ირჟი დუდეკს (მეკარე) გაიმეტებს.

ხსენებული ხალხის „ბეტისში" გადაბარგება იქაურთა მწვრთნელ ხავიერ ირურეტასთვის მისაღები უნდა იყოს, თუმცა ესპანური გაზეთები ამბობენ, კლუბის თავკაცობას ხოაკინთან განშორება მაინც გაუძნელდებაო. „ბეტისი" ხომ ბოლო რამდენიმე სეზონია, საჭირო ფეხბურთელის კლუბში დარჩენისთვის გააფთრებით იბრძვის.

„ლივერპულმა" კი 2006-07-ის სეზონისთვის ერთი ახალი ფეხბურთელი უკვე იყიდა, არგენტინული „ბანფილდის" მცველი გაბრიელ პალეტი. პატაგონიელი მომავალი 4 წლის განმავლობაში იბურთავებს „ენფილდ როუდზე". „პალეტი აგრესიული ტიპის მცველია და იმედი მაქვს, რომ იგი ინგლისში დიდ წარმატებებს მიაღწევს. ამ ფეხბურთელის შეძენა ვიჩქარეთ, რადგანაც საქმეში „ბოკა ხუნიორსის" და „რივერ პლეიტის" აგენტებიც ჩარიენენ" — განაცხადა რაფაელ ბენიტესმა. მან ისიც აღნიშნა, პალეტი ახალი რობერტო აიალა არისო.

გარდა ამისა, რაფა და მისი „ლივერპული" ტუნისელ ჰატემ ტრაბელსისაც ჩაუსაფრდნენ. ინგლისური მედიის მიხედვით, ტრაბელსიმ „აიაქსში" თამაშზე უარი თქვა და ბენიტესის შეგირდობა სურს.

ლადო ხომერიკი



ხოაკინი

ესპანური „მალაგას" ნახევარმცველი ხერარდო გარსია თავისუფალი აგენტის სტატუსით „რეალ სოსიედადში" გადავიდა. 31 წლის ფეხბურთელმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარსიას თავის დროზე „რეალში", „ვილიარეალში", „ვალენსიასა" და „ოსასუნაში" უთამაშია.

იტალიურმა „პალერმომ" „ვერონადან" მცველი მატია კასანი და ნახევარმცველი ჯანი მუნარი შეიძინა. ტრანსფერის ფინანსური მხარე უცნობია. 22 წლის კასანიმ სამ სეზონში 118 მატჩი ითამაშა, ხოლო 23 წლის მუნარის 2005-06-ში 38 მატჩი მოუგროვდა.

ინგლისური „პორტსმუთის" ორმა ფეხბურთელმა — მეტიუ ტეილორმა და გარი ონილმა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. მცველმა ტეილორმა ოთხი წლით, ხოლო ნახევარმცველმა ონილმა — ხუთით.

ფრანგულმა „ლე მანმა" გვინეელი მარცხენა მცველი იბრაჰიმ სორი „პარმადან" ერთი წლით ითხოვა. 21 წლის ფეხბურთელს „ლე მანში" თანამეგობრები დახვდებიან: ისმაელ ბანგურა და კემეკო ტურე.

შვეიცარიული „ქსამაქსის" ფრანგი მეკარე ჟან-ფრანსუა ბედენიკი ბერძნულ „იონიკოსში" სამი წლით გადავიდა. ბედენიკმა ორი სეზონი გაატარა „ქსამაქსში", მანამდე კი „ლე მანში" იყო.

ინგლისური „მიდლსბროს" მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს უთხრა, რომ კლუბი მას კონტრაქტს არ გაუხანგრძლივებს. 34 წლის ჰოლანდიელს კონტრაქტის ვადა ამ კვირის ბოლოს ეწურება და შესაძლოა, გლაზგოს „სელტიკში" გადავიდეს.

ბერძნულმა „პანათინაიკოსმა" არგენტინული „რასინგის" ნახევარმცველ სებასტიან არიელ რომეროს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. რომერო 2002 წლიდანაა „რასინგში" და 114 მატჩში 12 გოლი გაიტანა. მას ესპანურ „კორდობაში" და ფრანგულ „ტულუზშიც" უთამაშია.

ესპანური „სელტას" ბერძენი ფორვარდი ზისის ვრიზასი „ქსანტიში" გადავიდა. ვრიზასმა სამშობლოში დაბრუნებამდე „ტორინო", „ფიორენტინა" და „პერუჯა" მოიარა, საიდანაც ესპანურ „სელტაში" აღმოჩნდა.

ოზიექტი









გუშინწინდელი დიდი ნახევარფინალური ჯახის დაწყებამდე გერმანელებისთვის პროგნოზი რომ გეკითხათ, მილიონიდან მილიონივე ერთსა და იმავე გუნდზე ჩამოვიდოდა ვირტუალურ ფსონს, აგერ, ერთმა მათგანმა მუცელზეც წინასწარ დაიწერა თავისი ერის სარგო ანგარიში, ოღონდ ისე ვერ გამოვიდა, როგორც გერმანიას სურდა. დიდებული თამაში, დაცარიელებული ქუჩები რომსა და მიუნხენში და გრძნობებით აღსავსე, დაუვიწყარი წუთები იტალია — გერმანიის ქომაგებისთვის — პირველთათვის ბედნიერების, მეორეთათვის კი იმედგაცრუების.

ძმებ კლიჩკოებს უკრაინა მეოთხედფინალიდან გაუვარდათ, თუმც ისინი ხომ გერმანიაში სახლობენ და ნახევარფინალზე წასვლაც არ დაიზარეს.

და, მარადონას რაღა? გენიოსს, ჩანს, მოუნელებია არგენტინის მარცხი.

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი						
		6 ივლისი						
19:00	840	ცსკა-ტორპედო	1.25	4.70	10.00	1.00	1.11	3.19
12:00	841	ენერგია-კრილია	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
19:00	842	ლოკომოტივი-სატურნი	1.75	3.20	4.40	1.13	1.25	1.85
19:00	843	ნალჩიკი-როსტოვი	2.05	3.00	3.40	1.21	1.27	1.59
20:00	844	ზენიტი-დინამო	1.50	3.40	6.00	1.04	1.20	2.17
		7 ივლისი						
19:00	845	სპარტაკი-ამკარი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
19:00	846	რუბინი-ტომსკი	1.60	3.20	5.50	1.06	1.23	2.02
		ფინეთი						
		6 ივლისი						
19:30	864	ჰაკა-კუოპიო	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
19:30	865	ჰელსინკი-ჰონკა	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:30	866	მარიეჰამნი-ტურკუ	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
21:00	867	ვპს-მიუპა	3.60	3.30	1.90	1.72	1.24	1.20
		ირლანდია						
		7 ივლისი						
22:45	869	ბოჰემიანი-დერი	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
22:45	870	დროგედა-სტ.პატრიკსი	1.90	3.20	3.45	1.19	1.22	1.66
22:45	873	სლიგო-დუბლინ სიტი	1.90	3.10	3.55	1.17	1.23	1.65

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		8 ივლისი						
22:30	872	ლონგფორდი-კორკი	3.60	3.20	1.90	1.69	1.24	1.19
		9 ივლისი						
18:15	874	ბრეი-დუბლინი	2.30	3.10	2.65	1.32	1.23	1.42
		ნორვეგია. თასი						
		6 ივლისი						
20:00	887	ბოდიო გლიმტი-ტრომსიო	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
20:00	891	ჰაუგესუნდი-სტარტი	4.80	3.80	1.55	2.12	1.17	1.10
		შვედეთი. თასი						
		6 ივლისი						
20:00	898	ფალკენბერგი-ვესბი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
21:00	899	ჰალმსტადი-გეფლე	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:00	900	ტრელებორგი-იოსტერსი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:00	901	ჰამარბი-ჰელსინგბორგი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
19:00	922	ელფსბორგი-იურგორდენი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
		ჩოგბურთი.ქალები						
		უიმბლდონი						
		6 ივლისი						
16:00	924	შარაპოვა-მორესმო	----------		1.50	----------		2.25
16:00	925	ენინი-კ კლიისტერსი	----------		1.50	----------		2.30

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
	მოსკოვის გამზირი №6	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39	
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12	

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის კონფერენცია გაიმართა, რომლის შემდეგ პროფლიგის ხელმძღვანელობა — პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი და გენმდივანი რევაზ ლორთქიფანიძე — ჟურნალისტების წინაშე წარდგა. მედიის კითხვებს პროფლიგის პრეზიდენტი პასუხობდა...

გუშინ დიმიტრი რამიშვილის ფოტო

დიმიტრი რამიშვილი და რევაზ ლორთქიფანიძე

ოქროს მატჩი აღარ იქნება

ოთხი გავარდეს, ორი გადმოვიდეს: უმაღლეს ლიგას 14-ს უპროექტებენ

— ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში რამდენიმე ცვლილება შევიტანეთ. გავაუქმეთ ოქროს მატჩი, თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა გუნდების ურთიერთშეხვედრებით განისაზღვრება. ასე იქნება არა მხოლოდ პირველი, არამედ ნებისმიერი ადგილის განსაზღვრისას. საქართველოს თასის ფინალი კი 26 მაისს გაიმართება. რეგიონული ლიგიდან პირველში გადასასვლელად გადათამაშებები აღარ დაინიშნება. ჭაბუკთა ლიგები 1989, 1990 და 1991 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის გაიმართება.

— უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირების საკითხი არ განიხილება?

— ჩამრვაყალიბეთ სარევიზიო კომისია, რომლის ხელმძღვანელი მე ვიქნები. ამ კომისიაში შედიან ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე და პროფლიგის გენმდივანი რევაზ ლორთქიფანიძე. ეს კომისია ფედერაციის აღმასკომს აცნობებს, რა ვითარებაა კლუბებში და აღმასკომი ამის შემდეგ გადაწყვეტს, რამდენი გუნდი იქნება უმაღლეს ლიგაში. რამდენიმე კლუბს აქვს სურვილი, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა შემცირდეს. არის ლაპარაკი, უმაღლესი ლიგიდან გავარდეს ოთხი გუნდი და პირველიდან გადმოვიდეს ორი. ამ საკითხზე მსჯელობა გაგრძელდება.

— მატჩების გამართვის დრო შეიცვლება ხოლმე?

— გვინდა, რომ დრო არასდროს შეიცვალოს — კონკრეტულ თვეში ყველა მატჩი ერთი და იმავე საათზე ჩატარდება და არც ის გვინდა, რომ კალენდარი იცვლებოდეს.

— სუპერთასი როდის გაიმართება?

— თარიღი ჯერ დაუდგენელია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვლენ ევროტურნირებზე ჩვენი კლუბები. თუ ისინი რამდენიმე ეტაპს გადალახავენ, სუპერთასის ჩატარების თარიღიც გადაიწევს. სუპერთასი ბათუმში ან თელავში გაიმართება.

— პროფლიგა ეროვნულ ჩემპიონატის მატჩებზე ლატარიის ჩატარებას აპირებდა — მე-18 ეროვნულში ეს მოხერხდება?

— ლატარია რომ ჩატარდეს, ამისთვის ყველა სტადიონი უნდა იყოს მზად, სარევიზიო კომისია ამ საკითხებზეც იმუშავებს.

— პროფლიგამ წინა სეზონში მიიღო გადაწყვეტილება, რომ კლუბებში უკონტრაქტოდ მომუშავე მწვრთნელები სათადარიგოთა სკამზე ვერ დაჯდებოდნენ — ეს წესი კვლავაც ძალაშია?

— ეს წესი არ შეიცვლება. ახალი კი ისაა, რომ პროფლიგამ მოთამაშე-მწვრთნელის სტატუსი შემოიღო, რათა მოთამაშე-მწვრთნელსაც შეეძლოს სათადარიგოთა სკამზე ყოფნა.

დავით თავართქილაძე

ცქიტიშვილმა და მგლებმა ერთმანეთი გაათავისუფლეს

ლევან ცქიტიშვილმა და „ვოლფსბურგმა" საბოლოოდ გაარკვიეს ურთიერთობა — ფეხბურთელსა და კლუბს შორის კონტრაქტი გაუქმდა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა და გერმანული კლუბის ხელმძღვანელობამ გუშინწინდელ შეხვედრაზე. ასე რომ, ცქიტიშვილი თავისუფალი აგენტი გახდა.

შეგახსენებთ: ცქიტიშვილი შარშან დონეცკის „მეტალურგიდან" გადავიდა „ვოლფსბურგში" და მყის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ იქცა, თუმცა მერე მძიმედ დაშავდა და მკურნალობამ გვარიანი დრო წაართვა. ამის გამო იყო, ბუნდესლიგის ბოლო ტურებში ჩვენებური საერთოდ რომ არ გამოჩენილა „მგლების" შემადგენლობაში.

სეზონის ბოლოს ცქიტიშვილმა გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა და „ვოლფსბურგმაც" იგი ტრანსფერზე დააყენა, ახლა კი, როგორც უკვე გითხარით, ლევანი თავისუფალი აგენტია. დიდი შანსია, ჩვენებური „მეტალურგში" დაბრუნდეს — ყოველ შემთხვევაში, უკრაინელები ძალიან აქტიურობენ ამ ტრანსფერის მოსაგვარებლად.

ძახა შალამბერიძე

კანკავა ძირითადშია და ხსნის

ჯაბა კანკავას კიევის „არსენალმა" ორი ამხანაგური მატჩი გამართა პოლონურ კლუბებთან, უმაღლესლიგელ „ზაგლებიეს" უგოლოდ გაეყარა, ქვედალიგელი „კოკლიცე" კი 7:0 გაანადგურა. საინტერესოა, რომ კანკავამ ორივე შეხვედრა სრულად ჩაატარა და „კოკლიცესთან" ანგარიშის გამხსნელი გოლიც გაიტანა.

როგორც ჩანს, ჯაბა მომავალი სეზონიდან „არსენალის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იქნება — ამაში გასაკვირი არც არაფერია, უბრალოდ, წინა სეზონის ბოლო 4-5 მატჩში კიეველთა თავკაცი ალექსანდრ ზავაროვი ჩვენიანს შეცვლებზე ათამაშებდა, რის მიზეზადაც კანკავას გადაღლილობა დასახელდა.

ჰაჭელო ასათიანთან გადავიდა

გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ მოსკოვის „ლოკომოტივის" მთავარ გუნდში განაახლა ვარჯიში. გეცოდინებათ, „ჰაჭელომ" საქართველო — მალტას ახალგაზრდული ნაკრებების მატჩში კუნთის დაიშავა, რაც მოგვიანებით გაუმიზეზდა და ამის გამო თითქმის ორი თვე მინდორზე არ გასულა.

ჭელიძემ ერთი კვირის წინ „ლოკომოტივის" დუბლებში დაიწყო ვარჯიში, გუშინ კი შოტლანდიელ გარი ოკონორთან და ბრაზილიელ სელსინიოსთან ერთად ძირითად „ლოკომოტივს" დაუბრუნდა.

ილია ნანოგაშვილი

დინამოს ავსტრია ანდრიამ დაამთავრა

თბილისის „დინამომ" გუშინ ავსტრიული შეკრების ბოლო ამხანაგური მატჩი „სანტ ანდრიასთან" გამართა და 3:1 გაიმარჯვა. ჩვენები შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ საათში გიორგი ნავალოვსკიმ დააწინაურა, მასპინძლებმა კი მეორე ტაიმის განახლებისთანავე გაათანაბრეს. მერე დინამოელთა თავკაცმა ისევე, როგორც წინა ამხანაგურ შეხვედრაში, რამდენიმე ფეხბურთელი შეცვალა და მალე თბილისელებმა მეორე გოლიც გაიტანეს — ფლანგიდან უჩა ლობჟანიძის პასი ზამირ ჯანაშიამ მახვილგონივრულად გაატარა, რითაც ვაწაძემ ისარგებლა. საბოლოო ანგარიში კი ვაწაძის პასით მიხეილ ხუციშვილმა დააფიქსირა, მისი უძლიერესად დარტყმული მეკარისთვის აუღებელი გამოდგა.

მოკლედ, თბილისის „დინამოს" ავსტრიული შეკრება ამით დამთავრდა, დღეს გუნდი შინ დაბრუნდება და ავსტრიის „რიდთან" ინტერტოტოს გათამაშების მეორე ეტაპის საპასუხო მატჩისთვის მოემზადება. შეგახსენებთ, პირველი შეხვედრა ჩვენებმა სტუმრად 1:3 წააგეს, 9 ივლისს კი „რიდს" „მიხეილ მესხზე" უმასპინძლებენ — მატჩი 19 საათზე დაიწყება.

ლუკა თალაკვაძე

სიონის 21 უეფას

ბოლნისი აფრიკამ და მეშაქრემ გაამწარეს

გუშინ ბოლნისის „სიონმა" უეფაში საჩემპიონთალიგო განაცხადი გააგზავნა — სამწუხაროდ, მასში ვერ მოხვდნენ კამერუნელი ფეხბურთელები და ამის მიზეზი ისაა, რომ მათი სატრანსფერო ფურცელი აგვიანებს. ასე რომ, აზერბაიჯანულ „ბაკისთან" ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრაში „სიონს" არც ერთი ლეგიონერი არ ეყოლება.

„მძიმე დღეში ჩავვარდით. უეფაში 21-კაციანი სია გავაგზავნეთ, რომელშიც ბევრი გამოუცდელი ჭაბუკი იძულებით შევიყვანეთ. ახალწვეული მხოლოდ ორია: 17 წლის ნახევარმცველი ზაზა ჭელიძე გორის „დილადან" შევიძინეთ, „ზესტაფონიდან" კი გამოცდილი ლევან შავგულიძე ვინათხოვრეთ. რა თქმა უნდა, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ, ქართული კლუბებიდან ვაპირებთ შევსებას, მოლაპარაკებებსაც ვმართავთ, მაგრამ ვინც უნდა დავიმატოთ, „ბაკისთან" მატჩებში ვერ ვათამაშებთ" — გვითხრა „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

თუ ბოლნისელები „ბაკის" ბარიერს გადალახავენ, ბულგარულ „ლევსკისთან" სამეორეეტაპო მატჩებში უკვე შეეძლებათ კამერუნელების და სხვა ფეხბურთელების დამატება — გეცოდინებათ, პირველი ეტაპის შემდეგ უეფაში გაგზავნილ განაცხადში ცვლილებების შეტანა შეიძლება.

დღეს კი ვითარება ისეთია, რომ „სიონს" „ბაკისთან" ორად-ორი თამაშმსხმელი ეყოლება: კოკა მიკუჩაძე და ბესიკ ქარდავა. სხვა რგოლებშიც ვერ გაძლიერდნენ ბოლნისელები, პირიქით, ლევან ხმალაძის წასვლის შემდეგ ნახევარდაცვა საგრძნობლად დაუსუსტდათ.

აქვე გაცნობებთ, რომ მართალია, ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე" საფუძვლიანი რემონტი მიმდინარეობს, მაგრამ „ბაკის" ბარიერის გადალახვის შემთხვევაშიც კი, „სიონი" მეორე ეტაპზე „ლევსკის" მაინც „მიხეილ მესხზე" უმასპინძლებს.

გუშინ კი „სიონმა" აგარაში იქაურ „მეშაქრესთან" ამხანაგური მატჩი გამართა და 0:2 წააგო. შეგახსენებთ, რომ პირველლიგელ „მეშაქრეს" ახლა მალხაზ ლაცაბიძე წვრთნის, ვინც წინა სეზონის ბოლოს გორის „დილას" ედგა სათავეში.

ილია ნანოგაშვილი

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-ჯგუფში გასანევრიანებელი აპლიკაცია

სახელი: .....

გვარი: .....

დაბადების თარიღი: .....

გელეფონი: .....

ელ-ფოსტა: .....

სარგებელი

საინფორმაციო მხარდაჭერა

დილას ქვეღეზი უგრუნდეზიან

გორის „დილა“ გუშინ შეიკრიბა, თუმცა არ უვარჯიშია. მეტ-ნაკლებად გაირკვა, რა შემადგენლობით ითამაშებს ქართული კლუბი მომავალ სეზონში — საბა სულთანიშვილი „ჩიხურაში“ გადავიდა, გივი ქარქუზაშვილი ავსტრიის ქვედაბუნდესლიგურ კლუბში ყოფილა გასინჯვაზე, დანარჩენი ფეხბურთელები კი გორში თამაშზე ყაბულს არიან.

რაც შეეხებათ ახალწვეულებს, „დილაში“ დაბრუნდნენ ბექა და გიორგი ჩიტაიები, მეკარე თამაზ ილურიძე და მცველი ლევან გოჩაშვილი. და კიდევ, „დილას“ მწვრთნელის ვინაობა საბოლოოდ არაა ცნობილი, თუმცა, სავარაუდოდ, იგი რევაზ ბურკაძე იქნება.

ტორპედომ თურქეთი დაჯავშნა

ქუთაისის „ტორპედოს“ გენერალური პროკურატურა ჯერ არ მოშორებია, თუმცა, როგორც კლუბის პრეზიდენტმა გრიგოლ ხურციძემ გვითხრა, დარღვევები არ აღმოჩენილა. გუნდი კი სეზონისწინა მზადებას აგრძელებს — ახალი სახეები ქუთაისში არ გამოჩენილან. ბევრი ახალგაზრდა ისინჯება, მაგრამ მათი გვარები ბევრს ვერაფერს გეტყვით.

ხურციძის ცნობითვე, „ტორპედო“ 12 ივლისს თურქულ შეკრებაზე წავა შვიდი-ათი დღით. სამი სპარინგ-მეტოქეც ცნობილია და სამივე თურქულია: „ხოფასფორი“, „რიზესფორი“ და „სამსუნსფორი“.

ქალები ზღვაზე იწყებენ

დღეს ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონატი იწყება, რომელშიც ორ ჯგუფად დაყოფილი რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას — ტურნირი 6-14 ივლისს გაიმართება ქობულეთში.

„ა“ ჯგუფში ითამაშებენ: იმერეთი, გურია, თბილისი და სამეგრელო. „ბ“ ჯგუფში: შიდა ქართლი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი და კახეთი.

ჯგუფებში გამართული მატჩების შემდეგ „ა“ ჯგუფის პირველადგილოსანი „ბ“ ჯგუფის მეორეადგილოსანს შეხვდება და პირიქით, ხოლო გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან. ჯგუფური ეტაპის შემდეგ მე-5–მე-8 ადგილებისთვის ბრძოლას დანარჩენი გუნდებიც გააგრძელებენ.

ტურნირის დამთავრების შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის შეირჩევიან ფეხბურთელები და ასეთნაირად დაკომპლექტებულ საქართველოს ნაკრები 18 და 20 ივლისს აზერბაიჯანს გაეჯიბრება ქობულეთში.

მოკლედ, საქართველოს ფეხბურთის ახლანდელი ხელმძღვანელობა პირველად ატარებს ეროვნულ ჩემპიონატს ქალებში, რაც ალბათ იმით დაგვირგვინდება, რომ ჩვენი ქალთა ნაკრები ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს.

ქალთა ჩემპიონატს შვიდი თანამსაჯი ქალი მოემსახურება.

საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

კალენდარი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

პირველი წრე

პირველი ტური

29 ივლისი, შაბათი
დინამო – ბორჯომი
დილა – ბათუმი
სიონი – თბილისი
ჯოლხეთი – მერანი
ჯახეთი – ცხინვალი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
31 ივლისი, ორშაბათი
ამერი – ჩიხურა
ტორპედო – ვიტ ჯორჯია

მეორე ტური

5 აგვისტო, შაბათი
ვიტ ჯორჯია – სიონი
ბათუმი – ამერი
6 აგვისტო, კვირა
დინამო – დილა
ბორჯომი – ლოკომოტივი
ცხინვალი – ზესტაფონი
მერანი – ჯახეთი
თბილისი – ჯოლხეთი
ჩიხურა – ტორპედო

მესამე ტური

20 აგვისტო, კვირა
დილა – ბორჯომი
ამერი – დინამო
ტორპედო – ბათუმი
სიონი – ჩიხურა
ჯოლხეთი – ვიტ ჯორჯია
ჯახეთი – თბილისი
ზესტაფონი – მერანი
ლოკომოტივი – ცხინვალი

მეოთხე ტური

27 აგვისტო, კვირა
ბორჯომი – ცხინვალი
მერანი – ლოკომოტივი
თბილისი – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – ჯახეთი
ჩიხურა – ჯოლხეთი
ბათუმი – სიონი
დინამო – ტორპედო
დილა – ამერი

მეხუთე ტური

9 სექტემბერი, შაბათი
ამერი – ბორჯომი
ტორპედო – დილა
სიონი – დინამო
ჯოლხეთი – ბათუმი
ჯახეთი – ჩიხურა
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – თბილისი
ცხინვალი – მერანი

მეექვსე ტური

13 სექტემბერი, ოთხშაბათი
ბორჯომი – მერანი
თბილისი – ცხინვალი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ჩიხურა – ზესტაფონი
ბათუმი – ჯახეთი
დინამო – ჯოლხეთი
დილა – სიონი
ამერი – ტორპედო

მეშვიდე ტური

17 სექტემბერი, კვირა
ტორპედო – ბორჯომი
სიონი – ამერი
ჯოლხეთი – დილა
ჯახეთი – დინამო
ზესტაფონი – ბათუმი
ლოკომოტივი – ჩიხურა
ცხინვალი – ვიტ ჯორჯია
მერანი – თბილისი

მერვე ტური

24 სექტემბერი, კვირა
ბორჯომი – თბილისი
ვიტ ჯორჯია – მერანი
ჩიხურა – ცხინვალი
ბათუმი – ლოკომოტივი
დინამო – ზესტაფონი
დილა – ჯახეთი
ამერი – ჯოლხეთი
ტორპედო – სიონი

მეცხრე ტური

14 ოქტომბერი, შაბათი
სიონი – ბორჯომი
ჯოლხეთი – ტორპედო
ჯახეთი – ამერი
ზესტაფონი – დილა
ლოკომოტივი – დინამო
ცხინვალი – ბათუმი
მერანი – ჩიხურა
თბილისი – ვიტ ჯორჯია

მეათე ტური

21 ოქტომბერი, შაბათი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
ჩიხურა – თბილისი
ბათუმი – მერანი
დინამო – ცხინვალი
დილა – ლოკომოტივი
ამერი – ზესტაფონი
ტორპედო – ჯახეთი
სიონი – ჯოლხეთი

მეთერთმეტე ტური

28 ოქტომბერი, შაბათი
ჯოლხეთი – ბორჯომი
ჯახეთი – სიონი
ზესტაფონი – ტორპედო
ლოკომოტივი – ამერი
ცხინვალი – დილა
მერანი – დინამო
თბილისი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – ჩიხურა

მეთორმეტე ტური

4 ნოემბერი, შაბათი
ბორჯომი – ჩიხურა
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დინამო – თბილისი
დილა – მერანი
ამერი – ცხინვალი
ტორპედო – ლოკომოტივი
სიონი – ზესტაფონი
ჯოლხეთი – ჯახეთი

მეცამეტე ტური

11 ნოემბერი, შაბათი
ჯახეთი – ბორჯომი
ზესტაფონი – ჯოლხეთი
ლოკომოტივი – სიონი
ცხინვალი – ტორპედო
მერანი – ამერი
თბილისი – დილა
ვიტ ჯორჯია – დინამო
ჩიხურა – ბათუმი

მეთოთხმეტე ტური

18 ნოემბერი, შაბათი
ბორჯომი – ბათუმი
დინამო – ჩიხურა
დილა – ვიტ ჯორჯია
ამერი – თბილისი
ტორპედო – მერანი
სიონი – ცხინვალი
ჯოლხეთი – ლოკომოტივი
ჯახეთი – ზესტაფონი

მეთხუთმეტე ტური

26 ნოემბერი, კვირა
ზესტაფონი – ბორჯომი
ლოკომოტივი – ჯახეთი
ცხინვალი – ჯოლხეთი
მერანი – სიონი
თბილისი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – ამერი
ჩიხურა – დილა
ბათუმი – დინამო

მეორე წრე

მეთექვსმეტე ტური

20 თებერვალი, სამშაბათი
ბორჯომი – დინამო
ბათუმი – დილა
თბილისი – სიონი
მერანი – ჯოლხეთი
ცხინვალი – ჯახეთი
ლოკომოტივი – ზესტაფონი
ჩიხურა – ამერი
ვიტ ჯორჯია – ტორპედო

მეჩვიდმეტე ტური

24 თებერვალი, შაბათი
ლოკომოტივი – ბორჯომი
ზესტაფონი – ცხინვალი
ჯახეთი – მერანი
ჯოლხეთი – თბილისი
სიონი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – ჩიხურა
ამერი – ბათუმი
დილა – დინამო

მეთვრამეტე ტური

3 მარტი, შაბათი
ბორჯომი – დილა
დინამო – ამერი
ბათუმი – ტორპედო
ჩიხურა – სიონი
ვიტ ჯორჯია – ჯოლხეთი
თბილისი – ჯახეთი
მერანი – ზესტაფონი
ცხინვალი – ლოკომოტივი

მეცხრამეტე ტური

11 მარტი, კვირა
ცხინვალი – ბორჯომი
ლოკომოტივი – მერანი
ზესტაფონი – თბილისი
ჯახეთი – ვიტ ჯორჯია
ჯოლხეთი – ჩიხურა
სიონი – ბათუმი
ტორპედო – დინამო
ამერი – დილა

მეოცე ტური

18 მარტი, კვირა
ბორჯომი – ამერი
დილა – ტორპედო
დინამო – სიონი
ბათუმი – ჯოლხეთი
ჩიხურა – ჯახეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
თბილისი – ლოკომოტივი
მერანი – ცხინვალი

ოცდამეერთე ტური

31 მარტი, შაბათი
მერანი – ბორჯომი
ცხინვალი – თბილისი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი – ჩიხურა
ჯახეთი – ბათუმი
ჯოლხეთი – დინამო
სიონი – დილა
ტორპედო – ამერი

ოცდამეორე ტური

7 აპრილი, შაბათი
ბორჯომი – ტორპედო
ამერი – სიონი
დილა – ჯოლხეთი
დინამო – ჯახეთი
ბათუმი – ზესტაფონი
ჩიხურა – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – ცხინვალი
თბილისი – მერანი

ოცდამესამე ტური

13 აპრილი, პარასკევი
თბილისი – ბორჯომი
მერანი – ვიტ ჯორჯია
ცხინვალი – ჩიხურა
ლოკომოტივი – ბათუმი
ზესტაფონი – დინამო
ჯახეთი – დილა
ჯოლხეთი 1913 – ამერი
სიონი – ტორპედო

ოცდამეოთხე ტური

21 აპრილი, შაბათი
ბორჯომი – სიონი
ტორპედო – ჯოლხეთი
ამერი – ჯახეთი
დილა – ზესტაფონი
დინამო – ლოკომოტივი
ბათუმი – ცხინვალი
ჩიხურა – მერანი
ვიტ ჯორჯია – თბილისი

ოცდამეხუთე ტური

27 აპრილი, პარასკევი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
თბილისი – ჩიხურა
მერანი – ბათუმი
ცხინვალი – დინამო
ლოკომოტივი – დილა
ზესტაფონი – ამერი
ჯახეთი – ტორპედო
ჯოლხეთი – სიონი

ოცდამეექვსე ტური

1 მაისი, სამშაბათი
ბორჯომი – ჯოლხეთი
სიონი – ჯახეთი
ტორპედო – ზესტაფონი
ამერი – ლოკომოტივი
დილა – ცხინვალი
დინამო – მერანი
ბათუმი – თბილისი
ჩიხურა – ვიტ ჯორჯია

ოცდამეშვიდე ტური

5 მაისი, შაბათი
ჩიხურა – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
თბილისი – დინამო
მერანი – დილა
ცხინვალი – ამერი
ლოკომოტივი – ტორპედო
ზესტაფონი – სიონი
ჯახეთი – ჯოლხეთი

ოცდამერვე ტური

12 მაისი, შაბათი
ბორჯომი – ჯახეთი
ჯოლხეთი – ზესტაფონი
სიონი – ლოკომოტივი
ტორპედო – ცხინვალი
ამერი – მერანი
დილა – თბილისი
დინამო – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ჩიხურა

ოცდამეცხრე ტური

16 მაისი, ოთხშაბათი
ბათუმი – ბორჯომი
ჩიხურა – დინამო
ვიტ ჯორჯია – დილა
თბილისი – ამერი
მერანი – ტორპედო
ცხინვალი – სიონი
ლოკომოტივი – ჯოლხეთი
ზესტაფონი – ჯახეთი

ოცდამეათე ტური

20 მაისი, კვირა
ბორჯომი – ზესტაფონი
ჯახეთი – ლოკომოტივი
ჯოლხეთი – ცხინვალი
სიონი – მერანი
ტორპედო – თბილისი
ამერი – ვიტ ჯორჯია
დილა – ჩიხურა
დინამო – ბათუმი

თასის მეთექვსმეტედფინალი: 11-12 და 23 აგვისტო; მერვედფინალი: 27-28 სექტემბერი და 24-25 ოქტომბერი;
მეოთხედფინალი: 21-22 ნოემბერი და 2-3 დეკემბერი; ნახევარფინალი: 7 მარტი და 17 აპრილი; ფინალი: 26 მაისი

შარშანდელი მოსკოვური შვიდკაცა: საქართველო — რუსეთი

ქართველები მოსკოვში მსოფლიოსთვის იბრძოლებენ

ათ დღეში მოსკოვში ევროპის შვიდკაცას წლევანდელი სერიის ფინალური ეტაპია. საქართველოს ნაკრები იმ 12 გუნდს შორისაა, მოსკოვში რომ ითამაშებენ და სარეიტინგო ქულების მოპოვებას შეეცდებიან. ფინალში მოსახვედრად ჩვენებს თბილისის შვიდკაცაზე ჯგუფიდან გასვლაც ყოფნიდათ, თუმც ქართველებმა ეს არ იკმარეს, ფინალშიც გავიდნენ, მაგრამ, პირველად ოთხი წლის მანძილზე, ფრანგებთან თბილისში წააგეს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი წელია, რაგბის საერთაშორისო საბჭომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს სერიებიდან ამოშალა, რაკიღა ჩვენებმა ვერაფრით დააგროვეს საჭირო ქულები. მეტიც, შარშან მოსკოვშივე მათთვის შეუფერებელი მეათე ადგილი დაიკავეს. არადა, კლოდ სორელის დროს საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასზე ზედიზედ ორჯერ მეათე ადგილი დაიკავა და წინ მხოლოდ აღიარებული მოშვიდკაცეები გაუშვა. ამასთან, ჩვენები სტაბილურად თამაშობდენენ უპრესტიჟულეს მსოფლიო სერიებზე.

ახლა კი საქართველოს რაგბის კავშირმა ჩვენში შვიდკაცას გაპროფესიულება ისევ გადაწყვიტა და ნაკრებს ამ ამბავში გარკვეული მწვრთნელები — მამუკა ტყეშელაშვილი და ჯეელობაში ჩაუქი მოშვიდკაცე კახა ალანია დაუნიშნა. სამოსკოვო ეტაპისთვის მწვრთნელებმა 28 კაცი გამოიძახეს. ჩვენები „შევარდენის“ სტადიონზე დარში ვარჯიშობენ. წვიმების გადამკიდე, ახლა იძულებით ისვენებენ, თუმც სახვალიოდ სამოსკოვოდ შეგულებული მორაგბეები ერთმანეთში ითამაშებენ და მწვრთნელებიც ამ 28 მორაგბისგან აარჩევენ ათკაცა რაზმს.

ფინალური ეტაპისთვის შერჩეული გუნდი ერთკვირიან შეკრებას გაივლის და ამის შემდეგღა გაემგზავრება რუსეთის მთავარქალაქში.

მოსკოვში ჩვენების გარდა ეს ნაკრებები ითამაშებენ: საფრანგეთი, რუმინეთი, პორტუგალია, ლიტვა, იტალია, ესპანეთი, რუსეთი, მოლდოვა, ანდორა, ხორვატია, უკრაინა.

ბაჩო სვანიძე

5 წელიწადში 80 მილიონი

ვეიდს და მაიამის ერთმანეთი შეუყვარდათ

„დეტროიტის“ ცენტრისა და ბურჯის, ბენ ვოლესის „ჩიკაგოში“ „გაქცევის“ შემდეგ კლუბის პრეზიდენტ ჯო დუმარსს ბევრი არ უფიქრია და უძებნია, საჩქაროდ დაავლო ხელი სანანტონიელ თავისუფალ აგენტ ნაზრ მუჰამედს და ვოლესის შემცვლელად წაიყვანა. „სან ანტონიოს“ სასტარტო ხუთეულში თვით ტიმ დანკანის გვერდით ნათამაშები 208-სანტიმეტრიანი მუჰამედი — რა გასაკვირია და — ისე საიმედოდ ვერ შეავსებს ვოლესის წასვლის შემდეგ „პისტონზის“ დაცვაში გარღვეულ სივრცეს, მისი ახალი გუნდის თავკაცებმა გული რომ დაიმშვიდონ, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ახალწვეული ვოლესზე იაფი დაუჯდა გუნდს და ესეც საქმეა.

მუჰამედი და „დეტროიტი“ სიტყვიერად შეთანხმდნენ, ოფიციალურ კონტრაქტს კი 12 ივლისის შემდეგ მოაწერენ ხელს. ამ თარიღიდან ნბა ნებას რთავს მოთამაშეებს და კლუბებს, ურთიერთთანამშრომლობის პაქტს ხელი მოაწერონ. სავარაუდოდ, მუჰამედი 4-5 წლიან კონტრაქტს გააფორმებს მიჩიგანურ კლუბთან და წელიწადში დაახლოებით 5 მილიონს აიღებს.

რაც შეეხება ბენ ვოლესს, მას ჯო დუმარსმა 4-წლიანი და 50 მილიონიანი ურთიერთობა შესთავაზა, „ჩიკაგოში“ კი „ბიგ ბენი“ ამავე პერიოდში 10 მილიონით მეტს მიიღებს.

მნიშვნელოვანი მოთამაშე შეიმატა ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“. ჯორჯიელებს ყველაზე მეტად გამთამაშებელი სჭირდებოდათ. იშოვეს, ოღონდ არც ისე მაღალი კლასისა. 180-სანტიმეტრიანი სპიდი კლაქსტონი 5 წელია, ნბა-შია, 2003 წელს გაჩემპიონებული „სან ანტონიოს“ სათადარიგო მოთამაშეც გახლდათ, ბოლო სეზონი კი „ნიუ ორლეანში“ გაატარა, სადაც მატჩში საშუალოდ 12,3 ქულასა და 4,8 პასს იხვეჭდა. კლაქსტონის მისვლით გუნდი ოდნავ მაინც ამოისუნთქებს. ყველაზე მეტად კი „ატლანტას“ ლიდერი ჯო ჯონსონი გაიხარებს, რომელიც, მართალია, ორმეტრიანია, მაგრამ გუნდში ხეირიანი გამთამაშებლის არყოლის გამო სროლასთან ერთად შეტევების ორგანიზება და პასების დარიგებაც ევალებოდა. ახლა ის კლასიკურ მსროლელად გარდაისახება და ეცდება, საშუალო შედეგიანობა 22-23 ქულამდე მაინც გაზარდოს.

წლევანდელი პლეი ოფის ფინალის უძვირფასესი მოთამაშე და „მაიამის“ პირადად გამჩემპიონებელი დუეინ ვეიდი ალბათ ამავე გუნდში დარჩება. ახალბედობის დროს დადებულ მის 3-წლიან კონტრაქტს ახლა გაუვიდა ვადა. ეტყობა, ვეიდი და „მაიამი“ ერთმანეთით კმაყოფილები არიან — სხვაგვარად არც შეიძლება იყოს — და ახლა ახალი კონტრაქტის დეტალებზე მუშაობენ, ძირითადი პირობები კი ასეთია — 5 წელიწადში 80 მილიონი!

კოტე ყორშია

ქურასბედიანის ბედი

ეკატერინბურგში გამართულ მეკლდეურთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ხელოვნურ სარბიელზე გაიმართა, თბილისელი ავთანდილ ქურასბედიანი, როგორც ვიუწყებოდით, რთულ ცოცვაში წარუმატებლად გამოვიდა. მან დისტანცია ბოლომდე ვერ გაიარა და ერთ-ერთ მონაკვეთზე მოწყდა. თუმცა, მეკლდეურობის ამ დისციპლინაში ეს ჩვეულებრივი რამაა. ტრასის გავლას მონაწილეთა, 15-20 პროცენტი თუ ახერხებს და ეკატერინბურგში ქურასბედიანის ბედი ბევრმა გაიზიარა.

სამაგიეროდ, ქურასბედიანი გაცილებით უკეთ გამოვიდა სწრაფ ცოცვაში, რომელშიც მეთვრამეტე იყო და, როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლადო გურჩიანმა გვაცნობა, ჩვენს სპორტსმენს სულ რაღაც წამის მეასედი დაკლდა ნახევარფინალში გასასვლელად.

გურჩიანის შეფასებით, ქურასბედიანის მეთვრამეტე ადგილი კარგი შედეგია, რადგან ხელოვნურ კლდეებზე ჩვენი მეკლდეურები ევროპის ჩემპიონატზე აქამდე უარეს ადგილებს იკავებდნენ.

რაც შეეხება ჩვენს მეორე მეკლდეურს, ნუცა ხუციშვილს, რომელიც ჯერ თხუთმეტი წლისაა და უფროსთა ევროპულ სარბიელზე გამოდიოდა, რთულ ცოცვაში ისიც შეჯიბრების უმეტესი მონაწილესავით კლდეს მოწყდა.

ჩემპიონატში შეჯიბრებები მესამე დისციპლინაში, ბოლდერინგშიც უნდა გამართულიყო, მაგრამ მასპინძლებმა საამისოდ სარბიელი იმდენად ცუდად მოამზადეს, რომ ევროპის საუკეთესო მეკლდეურებმა იქ გამოსვლა აღარ ისურვეს, რამაც შეჯიბრება ჩაშალა.

ავთანდილ ბუკვიშელი

მეტრიანი ფინალი და ზედაც ჯილდო

თბილისელი შოთა კორახაშვილი პალმა დე მალიორკაში გამართულ წყალში მხტომელთა ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავისზე ორი-სამი წლით უფროსებს ეჯიბრება, კოშკიდან ასპარეზობის შემდეგ მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაშიც მოახერხა ფინალში გასვლა, ოღონდ კოშკზე დაკავებული მეხუთე ადგილისგან განსხვავებით, მერვე შედეგი აჩვენა.

ევროპის ამ ახალგაზრდულ პირველობაზე, მრავალწლიანი ჩავარდნის შემდეგ, საქართველოს წარმომადგენლები პირველად ხვდებიან ფინალებში, რაც ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელობამ დაგვიფასა კიდეც. ეს გამოიხატა საქართველოს საწყალოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივნის ირაკლი ბართაიას გუშინდელი დაჯილდოებით.

— ეს ჯილდო „წყალში ხტომის რეგიონალური განვითარებისთვის“ გადმომცეს — გვითხრა *ირაკლი ბართაიამ*, როცა გუშინ პალმა დე მალიორკაში დავუკავშირდით — რეგიონში ჩვენ მართლაც გამოვირჩევით. მაგალითად, აზერბაიჯანელები აქ ბოლო ადგილებს იკავებენ, სომხეთის წარმომადგენლები საერთოდ არ მონაწილეობენ, ჩვენი სპორტსმენები კი ფინალებში იბრძვიან. შეჯიბრების მონაწილე 50 გუნდიდან ფინალებში მხოლოდ ცხრა-ათი ქვეყნის წარმომადგენლები ხვდებიან. თუმცა, ჩვენ მეტის იმედიც გვაქვს.

ავთანდილ ბუკვიშელი

უიმბლდონი 2006. ბალახი
საპრიზო 10 378 710 £



AFP ლონდონიდან

როჯერ შურისმაძიებელი

ფედერერმა ანჩიჩს ოთხი წლის წინანდელი გაახსენა

5 ივნისი

კაცები

მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **მარიო ანჩიჩი** (7, ხორვატია) 6:4 6:4 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **რადეკ შტეპანეკი** (14, ჩეხეთი) 7:6 4:6 6:7 7:6 6:4; **მარკოს ბაღდატისი** (18, კვიპროსი) — **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) 6:1 5:7 7:6 6:2

უიმბლდონი გადამწყვეტი მატჩებისთვის ემზადება — ტურნირი დასასრულს უახლოვდება და „სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბის" კორტებზე სულ უფრო საინტერესო, დაძაბული და ნერვიული მატჩების ცქერა გვიწევს.

დღეს ქალები ფინალისტების ვინაობას გაარკვევენ და იმედია, უმაღლესი დონის ჩოგბურთსაც ვიხილავთ — აქ ხომ პირველ ოთხ ნომრად განთესილი ჩოგბურთელები ეცდებიან ჩოგანჩაუქობაში ერთმანეთის დაჯაბნას.

მარია შარაპოვა — ამელი მორესმო მართლაც უაღრესად დაძაბული თამაში იქნება. ასეთი მატჩი ნებისმიერი ტურნირის ფინალს დაამშვენებდა, მაგრამ მაინც, ეს დაპირისპირება თავისი ინტრიგით ახლოსაც ვერ მივა ბელგიურ დერბისთან.

კიმ კლაისტერსი ჟუსტინ ენინარდენის წინააღმდეგ — ეს უკვე კლასიკაა ქცეული დუელი ამჯერად წლის უმთავრესი შეჯიბრის ნახევარფინალში გაიმართება, რაც მისდამი ინტერესს მინიმუმ აორმაგებს.

ამ დუელს აგერ უკვე რვა წელიწადია ვუყურებთ და ვტკბებით. ეს დაპირისპირება ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა, დღესდღეობით კი ენენი ერთი მოგებით არის წინ 11-10. ჭინკა ბელგიელმა კლაისტერსის გამწარება წლეულს უკვე ორჯერ მოასწრო — აქედან ერთხელ „როლან გაროსის" ნახევარფინალში.

თუმც თიხნარზე ენენი კიმს რომ სჯობს, ბევრი სჯა-ბაასი არ სჭირდება. პრინციპში იგივეს თქმა ბალახზეც შეიძლება, მაგრამ სპეციალისტებს დაუჯინიათ, აქ კლაისტერსს უპირატესობა ექნებაო. მაგრამ ერთი ეგაა, რომ ენენმა სულ ორიოდე კვირის წინ, ისტბურნში დაამარცხა თავისი მეტოქე, თან ბალახზე ჩატარებული ურთიერთშეხვედრებიც ჟუსტინის უპირატესობაზე მეტყველებს — 2:1.

გუშინ კი საქმეში კვლავ ლონდონური წვიმა ჩაერთო და ჩოგბურთელებსაც გაურთულა ცხოვრება.

როჯერ ფედერერისგან სასწაულებს მიჩვეულნი კი ვართ, მაგრამ რასაც ეს გენიალური შვეიცარიელი ამ უიმბლდონლობაზე აკეთებს, აღწერას არ ექვემდებარება. „მხიარული როჯერი" თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცი და თითქმის დაუმარცხებელი მეჩოგნე, რომ არის, უკვე ყველამ გაითავისა. ხანდახან რაფაელ ნადალი თუ გამოხტება ხოლმე და ამტკიცებს, რომ ფედერერიც ადამიანი, არაჩვეულებრივი, მაგრამ მაინც ადამიანია და არა ღმერთკაცი.

მაგრამ დიადი ალპელის მიერ მიმდინარე უიმბლდონზე აკრეფილი სიჩქარე მაინც ფანტასტიკურია — ნახევარფინალში სეტწაუგებლად გავიდა და ჯერ არც ერთი მეტოქისთვის მინიმალური შანსიც კი არ მიუცია. ფედერერმა მხოლოდ ორჯერ დათმო საკუთარი მოწოდება. და ეს ამბავი ჟურნალების ჰედლაინებათაც იქცა, თითქოს ნამდვილი სენსაცია მომხდარიყოს.

გუშინ მარიო ანჩიჩის დრო დამდგარიყო. თან ფედერერმა ოთხი წლის წინანდელისთვისაც შური იძია — შვეიცარიელმა ხომ ბალახზე უკანასკნელად სწორედ ამ ბალკანელთან წააგო 2002 წლის უიმბლდონის პირველივე წრეში.

მოკლედ, შურიც ნაძიებია და უიმბლდონური პოკერისკენ გზაც გრძელდება.

ძახა ლომაუაშვილი

93-ე ტურ დე ფრანსი. 2006, 1-23 ივლისი

გილიოტინა: ტური თავის გმირებს იშორებს

ალეხანდრო ვალვერდემ რბოლა გზის პირას დაასრულა

იან ულრიხი, ივან ბასო, ალეხანდრო ვალვერდე, ალექსანდრ ვინოკუროვი, ფრანსისკო მანსებო, ლევი ლეიფემერი — ეს ველოსიპედისტები აღნიშნული თანმიმდევრობით მიიჩნეოდნენ წლევანდელი „ტურ და ფრანსის" ფავორიტებად. ასეთი ვარაუდები რბოლის დაწყებამდე იყო და ახლა, როდესაც რიგით 93-ე „ტური" ხეირიანად არც გახურებულა, ფავორიტთაგან რბოლას მხოლოდ ერთი და, ისიც სულ ბოლოს ნახსენები, ამერიკელი ლეიფემერიღა შემორჩა.

ულრიხი, ბასო, ვინოკუროვი და მანსებო დაწყებამდე მოკვეთეს „ტურიდან" და მესამე ეტაპზე მომხდარი ზედახორის შედეგად ასპარეზობას ვალვერდეც გამოეთიშა. ეს ზედახორაც რაღაც უცნაურად, ეტაპის ფინიშამდე 20 კილომეტრით ადრე, სწორ გზაზე მოხდა — 26 წლის ბასკს, რომელიღაც მრბოლი გვერდიდან შეეჯახა, წააქცია, უკან მყოფებმაც ვეღარ დაამუხრუჭეს და დაშავებულმა ვალვერდემ რბოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

ფავორიტთაგან რბოლას ლეიფემერიღა შემორჩა და შანსები იმისა, რომ „ტურზე" ამერიკელთა ჰეგემონია გაგრძელდეს, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ ჰეგემონიას დიადმა ლენს არმსტრონგმა ჩაუყარა საფუძველი 1999 წელს და წლევანდელი სიტუაცია რაღაც საეჭვოდ ჰგავს შვიდი წლის წინანდელს. მაშინაც რაღაც მსგავსი მოხდა — ულრიხი ტრავმირებული იყო, მარკო პანტანი დისკვალიფიცირებული და არმსტრონგმა უპრობლემოდ მოიგო თავისი პირველი „ტური". ახლა გზა ლეიფემერს გაეხსნა და ისე ჩანს, გერმანული „გეროლშტაინერის" ამერიკელ ლიდერს კონკურენციას მისივე თანამემამულენიღა თუ გაუწევენ — ჯორჯ ჰინკეპი და ფლოიდ ლენდისი. თუმცა, არიან სხვებიც და იქნებ რბოლა, უფრო საინტერესო გამოვიდეს, ვიდრე დღევანდელი გადასახედიდან ჩანს. ამ სხვების სათავეში ესპანელი იბან მაიო უნდა ვახსენოთ, ვინც ბრწყინვალედ დადის მთებში, მაგრამ სუსტია ინდივიდუალურ რბოლაში. არც „ჯიროს" მომგები იტალიელების — პაოლო სავოლდელის, ჯილბერტო სიმონისა და დამიანო კუნეგოს დავიწყება იქნება და ეგებ, კრისტოფ მორომაც გაისროლოს და საფრანგეთს 1985 წლის შემდეგ დავიწყებული გამარჯვების გემო გაახსენოს.

და მაინც, ეს ყველაფერი, წყალწაღებული ხავსს რომ ეჭიდება, იმას ჰგავს — 93-ე „ტური" ფავორიტებისგან ერთბაშად გაიწმინდა და რბოლამ აშკარად დაკარგა ინტერესი.

ვალვერდესთან დაკავშირებით კი ისიც უნდა ითქვას, რომ მისი გუნდი, ესპანური „ილეს ბალეარსი" ნამდვილად ვერ გაუფრთხილდა თავის ლიდერს. არმსტრონგს ასეთი რამ არასოდეს მოსვლია. ამერიკელის თანაგუნდელები წლების მანძილზე ცივ ნიავს არ აკარებდნენ გუნდის ლიდერს და ბოლო აღმართებამდე ისე მიჰყავდათ ხოლმე, რომ ლენსს არანაირი პრობლემა არ ექმნებოდა. „ილეს ბალეარსმა" ვერ შეძლო ამის გაკეთება და გუნდის შეფი, უნაი ეჩებარია, უკვე იმას ფიქრობს, ვალვერდეს არყოფნაში ვინ უნდა იყოს ლიდერი.

ვალვერდეს გარდა და თანაც, მასზე ადრე, ფინიშამდე, ასე სამოცი კილომეტრი რომ რჩებოდა, რბოლას კიდევ ორი ცნობილი ველოსიპედისტი გამოეთიშა — ჰოლანდიელი ერიკ დეკერი და ამერიკელი ფრედ როდრიგესი, ასევე ავარიისა და ზედახორის მსხვერპლნი გახდნენ.

აი, ასეთი დრამატული გამოდგა ლუქსემბურული ეშ სურ ალზედან ჰოლანდიურ ვალკენბურგამდე 216,5 კილომეტრზე გაჭიმული მესამე ეტაპი, რომელიც, საბოლოო ჯამში, „T-მობაილის" გერმანელმა მრბოლმა მატიას კესლერმა მოიგო და ეს გამარჯვება ულრიხს მიუძღვნა. კესლერმა ფინიშამდე რამდენიმე ასეული მეტრიღა რომ რჩებოდა, მაშინ მოახერხა პელეტონისგან თავის დაღწევა და მდევრებს ფინიშთან 5 წამით მიასწრო.

შეიცვალა მდგომარეობა საერთო ჩათვლაში. ბელგიელმა ტომ ბოონენმა საშუალედო ფინიშებზე იაქტიურა, საბონუსო წამები ჩამოიკლო და ლიდერის ყვითელი მაისურა მოირგო. ყოფილი ლიდერი, ნორვეგიელი ტორ ჰუსჰოვდი კი სამეულშიც აღარაა, თუმცა რბოლის მოწინავეებს ერთმანეთისგან წამები აშორებთ და ბოონენის რაიმე უპირატესობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ლეიფემერი კი ჯერჯერობით, მხოლოდ ოცდამეხუთეა ლიდერთან ოცდარვაწამიანი ჩამორჩენით, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მთებამდე ჯერ დიდი გზაა გასავლელი და ამერიკელი ბოონენზე მეტად, ალბათ, სხვა კონკურენტებზე ფიქრობს.

გია მუჯირი

მესამე ეტაპი. ეშ სურ ალზე — ვალკენბურგი. 216,5 კმ

1. მატიას კესლერი (გერმანია, T-მობაილი)	4სთ. 57წთ. 4 წმ.
2. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი)	+5 წმ.
3. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე)	
4. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	
5. ერიკ ცაბელი (გერმანია, მირლამი)	ყველას იგივე ჩამორჩენა

საერთო ჩათვლა

1. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	14 სთ. 52 წთ. 23 წმ.
2. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი)	+1 წმ.
3. ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, დისქავერი)	+5 წმ.
4. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	+7 წმ.
5. პაოლო სავოლდელი (იტალია, დისქავერი)	+15 წმ.

AFP

ველოჭარავანმა საძოვარზეც გაისეირნა

მძიმე ვერცხლი



გუშინ უნგრეთის ქალაქ სომბატჰეიში ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. საქართველოს ნაკრების მოჭიდავეებმა სავიზო პრობლემების გამო ორდღიანი ტურნირის მეორე დღესღა ჩააღწიეს უნგრეთში. შესაბამისად, ნუგზარ სხირელმა ხალიჩაზე რვის ნაცვლად მხოლოდ ოთხი შეგირდი შეუშვა.

ყველაზე შედეგიანად მძიმეწონისანმა დავით მოძმანაშვილმა იჭიდავა. პოლონელი არკადიუშ რობაკისა და ბერძენი იოანის პაპადოპულოსის ძლევის შემდეგ ფინალში გავიდა. იქ კი თურქ მეჰმეთ იესილთან დამარცხდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

კვარცხლბეკზე ასასვლელად მხოლოდ თითო გამარჯვება დაკლდათ მურთაზ კვესაძეს (55 კგ) და ბექა ჭელიძეს (84 კგ). პირველმა მეოთხედფინალში დაასრულა ოქროზე ფიქრი, მეორემ — ნახევარფინალში. მერე, კი ორივემ რეპეშაჟის ფინალი წააგო.

გამარჯვებით დაიწყო ცოტნე ბარამიძემაც. ესტონელი ვადიმ ბადინი ჩამოიცილა, მაგრამ რუს ამირ ბერუკოვთან ვეღარას გახდა და რადგან ამ უკანასკნელმაც ვერ იყოჩაღა, ჩვენებურს ხალიჩაზე მეტჯერ გასვლა აღარ მოუწია.

თავისუფლებისგან განსხვავებით, ქართველი ბერძენ-რომაელები სომბატჰეიში სრული გუნდით იჭიდავებენ. ვლადიმერ ადეიშვილის რვეული უნგრეთში ამ დილით გაფრინდა. ტურნირი კი 8-9 ივლისს გაიმართება.

ოთარ გაღლაკელიძე

ტოპალოვის ტოპრეიტინგი

მსოფლიოს ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი ფიდეს ახალ რეიტინგში კვლავ პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარ ინდუს ვიშვანათან ანანდს სოლიდური უპირატესობით უსწრებს. შეგახსენებთ რომ ბულგარელმა ლიდერობა სამი თვის წინ მოიპოვა, როცა ფიდემ დიდი ჭადრაკიდან წასული რუსი გარი კასპაროვი რეიტინგიდან ამოაგდო.

ვესელინ ტოპალოვმა გარი კასპაროვსაც კი გადაასწრო

აღსანიშნავია, რომ ახალმა ჩემპიონმა რეიტინგით კასპაროვსაც აჯობა. სპორტიდან წასვლამდე პლანეტის მე-13 ჩემპიონს 2812 ქულა ჰქონდა, ტოპალოვს კი 2813 აქვს. თუ საოცრება მოხდა და კასპაროვი ჭადრაკს დაუბრუნდა, მეორე პოზიციაზე აღმოჩნდება.

პროგრესი განიცადა კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმერ კრამნიკმა. მან ხუთი საფეხურით წაიწია წინ და მეოთხე ადგილზე აინაცვლა.

მოწინავე ასეულში კი კვლავ სამი ქართველია. ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი 37-ეა, ზვიად იზორია 50-ე, ხოლო ბაადურ ჯობავა 56-ე.

ქალთა რეიტინგში პირველობას არავის უთმობს უნგრელი იუდიტ პოლგარი და საეჭვოა, ეს ადგილი კიდევ რამდენიმე წელიწადს დაკარგოს. მადიარმა დიდოსტატმა სხვა ქალთათვის ჯერ კიდევ მიუღწეველ 2700-იან ზღვარს გადააბიჯა და უახლოეს მდევარს, ინდოელ კონერუ ჰუმპუს მთელი 162 ქულით ასწრებს. ჩვენებურთაგან ყველაზე კარგი შედეგი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს აქვს, რომელიც 2504 ქულით მე-7 პოზიციაზეა.

ლაშა გეგეჭკორი

კაცები

1 ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	2813
2 ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	2779
3 ლევონ არონიანი (სომხეთი)	2761
4 ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	2743
5 პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	2742
6 პეტერ ლეკო (უნგრეთი)	2738
7 ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	2734
8 მაიკლ ადამსი (ინგლისი)	2732
9 ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	2731
10 ბორის გელფანდი (ისრაელი)	2729
37 ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო)	2669
50 ზვიად იზორია (საქართველო)	2660
56 ბაადურ ჯობავა (საქართველო)	2651

ქალები

1 იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)	2710
2 ჰუმპუ კონერუ (ინდოეთი)	2548
3 ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)	2534
4 პია კრამლინგი (შვედეთი)	2521
5 ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)	2520
6 იუჰუა ჰიუ (ჩინეთი)	2517
7 მაია ჩიბურდანიძე (საქართველო)	2504
8. იიფან ჰოუ (ჩინეთი)	2488
9 ტატიანა კოსინცევა (რუსეთი)	2479
10 ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა)	2476
33 ნანა ძაგნიძე (საქართველო)	2437
37 ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო)	2427
43 ლელა ჯავახიშვილი (საქართველო)	2418
44 ნინო ხურციძე (საქართველო)	2414

ოლსონი საკუთარ თავს გადაასტა

ტრავმიანობის და უიღბლობის გამო ბარე ორი წელი უქმად მყოფი კრისტიან ოლსონი თანდათან ფორმაში შედის და ისევ ისე კალიასავით ხტის, როგორც ტრავმამდელ საუკეთესო წლებში. თანამედროვეობის საუკეთესო სამმხტომელმა მშობლიურ შვედეთში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, ამ საქმეში კვლავაც საუკეთესო რომაა.

სტოკჰოლმის ჩრდილოეთით, 60 კილომეტრის დაშორებით მდებარე მომცრო ქალაქ ნორტელეში არცისე გრანდიოზული სამძლეოსნო ტურნირი გაიმართა, რომ ვარსკვლავების ცვენა ყოფილიყო, მაგრამ სამმხტომში კი გვარიანმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, იქნებ სწორედ ოლსონის „ხათრით" და მოწვევითაც კი.

რაც ოლსონი მომჯობინდა და სარბენ-სახტომ ბილიკზე თავისი ზამბარა ფეხი შედგა, ის ყველგან ფავორიტია და ერთი-ორჯერ მოგებაც მოახერხა, რაკი გროსმაისტერულ ზღვარს, 17 მეტრს გადაახტა, მაგრამ აქამდე ის ამას კანტიკუნტად ახერხებდა, მხოლოდ ცალკეული ნახტომებით ამეტებდა ამ ნიშნულს, ცდების უმეტესობა კი უფუჭდებოდა. ახლა მან 17-მეტრიანი ნახტომების მთელი კასკადი მოაწყო.

შვედის პირველ ნახტომამდე გამოსულებში ლიდერობდა ახალგაზრდა პორტუგალიელი ნელსონ ევორა, რომელმაც 17 მეტრსა და 15 სანტიმეტრზე ისკუპა. და თავისი ქვეყნის რეკორდიც დაამყარა. ამის პასუხად ოლსონი 17,20 მეტრს გადაახტა და გალიდერდა კიდეც. საზოგადოდ, პირქარის მიუხედავად, მხტომელები მაინც კარგ შედეგებს აჩვენებდნენ და უშუალოდ მათი გაჯიბრება დაძაბულობით და შედეგებით მსოფლიოს ჩემპიონატსაც დაამშვენებდა და ოლიმპიადასაც, რაც არაფრით ითქმის ნორტელეში გამართულ სხვა დისციპლინათა შეჯიბრზე.

ერთ-ერთ შემდეგ ცდაზე ბაჰამელი რენდი ლუისი გალიდერდა, როდესაც 17,28 აჩვენა. ოლსონს კი ჩანს, სწორედ რომ დაძაბულობის შეგრძნება და მოტივაციის გაძლიერებისთვის ძლიერი მეტოქეების კარგი შედეგები სჭირდებოდა, მოსაგებად რომ დამუხტულიყო. მან ბაჰამელსაც დადებული ნახტომით უპასუხა, არც მეტი არც ნაკლები, 17 მეტრსა და 56 სანტიმეტრზე გადახტა და საერთოდ პირადი რეკორდი გაუმჯობესა, რომელიც იმ დროში დაუმყარებია, ამ სახეობაში ერთადერთი და მიუკარებელი რომ იყო — 2003 წელს ისევ შვედეთში, ოღონდ ქვეყნის პირველობაზე 17,55 აჩვენა.

მოკლედ, კუთვნილ ტახტზე ბრუნდება სპორტის დედოფლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რაინდი. სამწუხარო ამბად მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ ასე ზღაპრულ ფორმაში მყოფი და ახალგაზრდული ენთუზიაზმით აღსავსე, წლეულს ვერც ერთ დიდ ტურნირში ვერ დაამტკიცებს თავის პირველობას — მსოფლიოს ჩემპიონატი მომავალ წელსაა, ოლიმპიადა კი, მოგეხსენებათ, 2008 წელს პეკინში...

კოტე ყორშია

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფარაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge